
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი სოფელი

ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 4 | მარტი | 1926





შ ი ნ ა ა რ ს ი

...ვრული ლიტერატურა

...უკვალოდ დაკარგული (მოთხრობა) 1
...ი—წითელ ყაზარმისკენ (მოთხრობა) 9

გლეხი მწერლები

...ლეხი და სოფლის წურბელა 14
გლეხის მოგონება 15
...კლეხებს 15
ვ. აფციაური—ნუ სჩეხავ ტყესა 16
გიო კანანელი—ჩვენ ვიცით 16
ნ. ჯიხაიშვილი—გლეხის სიმღერა 17
ი სტურუა—მოხუცი გლეხი 17
ს. ბოსტოღანაშვილი—ჩემი სიმღერა 17
ი. მ—ლი—დანიელ ჭონქაძე 18

ცხოვრება და ცოდნა

მოამბე—ქვეყნის ამბები 21
„ რა სიმდიდრე ჰქონდა ეკლესიებს ოქტომბრის რევოლიუციამდე . 27

სასოფლო მეურნეობა

ე. კარბელაშვილი—ახალგაზრდობის სასოფლო-სამეურნეო წრეები 32
ნ. აღ-ილი—კართოფილის მოყვანა 36
მეგობარი ექიმი—ძროხა მშობიარობის დროს 40

კოოპერაცია

ნ. ალნიაშვილი—სასოფლო კოოპერაცია და ბაზარი 43
ნ. თხინვალელი—სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი უცხოეთში 44

ადამიანის ჯანმრთელობა

ივ. გომართელი—სიფილისი 47
გ. მესტიაშვილი—პირველი დახმარება 53

ხუმარა

ნიახური—ღმერთმა ვედრება შეისმინა 57
ჯიბილა—წარსულის მოგონება 59
ხვაშტარანი—„სპიჩჭა“ 60
ივანიკა—მონაწილე ვართ მაშაო თქვენი მწუხარების 61
გლეხკორი—მღვდლის გმირობა 63
ვარდო—ვაიმე შვილო ბეგლარა 64
კიტრი—ზუგდიდიდან 65

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი სოფელი

ყოველთვიური საგლეხო ჟურნალი

№ 4 | მ ა რ ტ ი | 1926 წ.

Ч 912

ი. გოლაშვილი

უკვალოდ დაკარგული

სამი წელიწადი სრულდებოდა კიდეც, რაც მსოფლიო ომის ქარიშხალი აფორიაქებდა და აზანზარებდა ქვეყნიერებას.

სოფელში რაც მხარბეჭიანი, ღონიერი და გამრჯე ბიჭები იყვნენ, ყველა ჯარში წაიყვანეს.

დღეობებმა ძველი ეშხი და სილამაზე დაკარგეს და სასოფლოზე მარტო ყავარჯენ დაბჯენილი ბებრები-ღა მოსჩანდენ.

ვენახებიდან და ახოებიდან აღარ ისმოდა მოლხენილი მუშური და ორღობეებში მოსაწყენი ხმა ურმულისა.

ყველას გულს სუდარა ეხურა, ყველა გლოვობდა, ყველა ოჯახში ნაღველი და დარდი იყო გამეფებული.

ვინ მოსთვლის რამდენი დედა ატარებდა თალხებს დაღუპულ შვილზე, რამდენ დანიშნულს გაუშავდა გვირგვინი და რამდენი ცრემლი იღვრებოდა სოფლის ნახევრად უპატრონო, დაყრუებულ ქოხებში...

მსოფლიო ომი კი ისევ ბობოქრობდა, ზღვასავით ღელავდა, სჭექდა, გუგუნებდა და ანადგურებდა ათიათასობით ნორჩს, გაუფურჩქნავ სიცოცხლეს...

— —

როცა ნიკოლოზი ჩამოაგდეს, ყველას ეგონა სისხლის ღვრას ბოლო მოეღებოდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ბიბლიოთეკა

ამბობდენ გერმანია თოფს აღარ გვესვრის, საფრანგეთსა და ინგლისს მიუბრუნდებაო...

ბოსტაჟრაანთ სალომე, რომლის ერთად ერთი შვილი ბრძოლის ველზე იყო და მისი ახალგაზრდა რძალი ნინო, ყველას უკითხავდენ შაქროსაგან მიღებულს წერილს.

— ფრონტზე სიწყნარეა, მალე ომი გათავდება და სამშობლოში დავბრუნდებიო, — იწერებოდა შაქრო.

სალომეს გულს დარდი გადაეყარა, მალე საყვარელი შვილი დაუბრუნდებოდა..

ნინოს – კი... აღარც კი ახსოვდა რიგიანად შაქროს სახე, — ორი კვირის ჯვარდაწერილი იყო, როდესაც ის ომში წაიყვანეს...

ვერც კი მოასწრო დამტკბარიყო მისი ცქერით, რიგიანად არც კი ენახა, გაეცნო და, მოსტაცეს, წაიყვანეს...

რამდენი უძილო ღამე გაათენა, რამდენი დარდი და მწუხარება გამოიარა.

აი დაღლილს ძილი მიეპრება, ჩასთვლემს, ჩნდება გძელი, თვალგადაუწვდენელი მინდორი, რომელიც თხრილებით არის დაფარული..

ზარბაზნები, ტყვიის მჯრქვევლები, თოფები, ღრიალებენ, ტირიან, წივიან და ერთმანეთში ირევიან..

ცაში უზარმაზარი, შავი ყორნები დაფრინავენ და ყველგან დაუზოგავად სთესავენ სიკვდილს.

სანგრებში მძიმედ დაჭრილი შაქრო გადაქცეულა... ნინო ქანაობს, ტორტმანობს, ღნდა ხელი მიაწოდოს, ვერ დაუძრავს, ღნდა ჭრილობა შეუხვიოს — ვერა სწვდება; ურდა ნუგეში სცეს — ენა არ ემორჩილება.. შეშინებული დაიკივლებს, გაელვიძება და გაგანიერებულს თვალებს შემოავლებს დაცალიერებულ, დაბნელებულ და უკაცურ ოთახს...

ვინ იცის რამდენი ღამე გაუტეხია ასეთი, რამდენი დარდი და მწუხარება გამოიარა...

ეხლა კი, მალე ნახავს საყვარელ შაქროს.

ყოველ საღამოს სოფლის შარას გასცქეროდა და თვალს არ აშორებდა მომავალ მგზავრებს...

— —

პოზიციებზე, სადაც შაქროს ჯარის ნაწილი იდგა, ორი კვირა სრულდებოდა, რაც სიწყნარე იყო.

არც ერთი მეომარი მხარე არა ფიქრობდა მშვიდობიანობის დარღვევას.

თხრილებში ახალ-ახალი გაზეთები მოდიოდა, რომელსაც ყველა ხალისით კითხულობდა.

დაღლილი, დაჭ.ნცული, ჭუჭყით და სიმშილით შეწუხებული, საკუთარს კერას და ოჯახს მოწყვეტილი ჯარისკაცები მოუთმენლად ელოდენ ომის გათავებას და სახლებში დაბრუნებას.

ერთს საღამოს თხრილებში ჩოჩქოლი შეიქმნა.



შაქრო მიდის ომში

ჯარს გამოუცხადეს, რომ ხვალ ახალი მთავრობის მეთაური კერენსკი მოდის საომარ ხაზის დასათვალიერებლადო...

— ეხლა კი გველირსება და ჩვენს ტანჯვას ბოლო მოეღება, ალბათ ომი თავდება და გავწევ სამშობლოში,—ფიქრობდა შაქრო,—რამდენი ხანია აღარ მინახავს საწყალი დედაჩემი, ნინო; წერილიც დიდ ხანია აღარ მომსვლია, იქნებ გათხოვდა კიდეც...

მან რუსული უკვე საკმარისად შეისწავლა ამ საქმს წელიწადში და როგორი იყო მისი გაკვირვება, როდესაც მეორე დღეს კერენსკიმ ჯარს ისევ ბრძოლისაკენ და ომისკენ მოუწოდა...

იგი მზად იყო იმ წუთში დაეძახნა, დაეყვირა, რომ დროა მოელოს ამ ძალადობას ბოლოო, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. თითქოს ვიღაცამ პირზე ხელი დააფარა.

ჯერ ისევ ღამე იყო, როდესაც თხრილები ამოძრავდენ.

ჯარისკაცები ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ, რაღაცას აბარებდენ, ეთხოვებოდენ ლანდებივით ჩნდებოდენ და ჰქრებოდენ სიბნელეში.

ოცეულის და ათეულის უფროსებმა თავის ადგილები დაიჭირეს.

შაქრომ და მისმა ქართველმა ამხანაგმა ჯარისკაცმა პირობა მისცეს, ერთმანეთის შესახებ ეცნობებინათ მშობლებისთვის, თუ რომელიმე მათგანი დაიღუპებოდა.

— სანდრო, ვინიცობაა მოვკვდე, დედაჩემს როგორმე შეატყობინე.

— შენც, შაქრო, მშვიდობით—ხელი მოგმართოს,— გადაეხვივნენ ერთმანეთს ძმურად და თავ-თავის ადგილას გაჩერდენ.

ასე ემზადებოდენ სიკვდილისათვის ჯარისკაცები, კერენსკის წასვლის პირველ ღამეს, გათენებისხანს.

ჯარი თხრილებიდან ნისლივით ფრთხილად წამოიშალა, ცოცხალ ჯაჭვივით წავიდა წინ და სიბნელეში დაიძირა..

ერთს ხაზს მოჰყვა მეორე, მესამე და მეოთხე...

მცირე ხნის შემდეგ მოისმა „ურა“-ს სახილი, რომელიც მალე არეულმა ყიჟინამ შესცვალა.

მალე თოფებიც ახმაურდენ. ჯერ კანტი-კუნტად, შემდეგ უფრო ხშირად და ბოლოს ტყვიის მფრქეველთა რაკ-რაკიც ასტყდა..

თენდებოდა. ყბა-დაღრენილი რკინის ვეშაპები გრგვინავდენ და ცეცხლის ალში ჰხვევდენ ცასა და მიწას.

თოფების, ყუმბარების, ცხენების ჭიხვინის, ჯარის ყიჟინის, კვნესის და სიკვდილის ხმა ერთმანეთში ირეოდა, მიდამოს აყრუებდა.

გაცოფებული ადამიანები ერთმანეთს შეუბრალებლად აგებდენ შუბებზე, თხრილებში ისროდენ, ზედ გადადიოდენ, სთელავდენ, მშიერი ძხეცებივით ღმუოდენ, ღრიალებდენ, ეცეოდენ ძირს და იხოცებოდენ.

მკერდ-გაღეღილი შაქრო მგელივით მიიწევდა წინ, მიიბრძოდა,

ველარას ხედავდა, არც ის იცოდა რას სჩადიოდა და აღარც სიკვდილზე ფიქრობდა.

გორაკზე, რომელზედაც მოპირდაპირის დროშა ფრიალებდა, მან კიდეც დადგა ფეხი და ის იყო დროშა უნდა აეტაცა,—ჰაერში მოისმა საშინელი ზრიალი, თანდათან გაძლიერდა, მოახლოვდა და ისეთი ძლიერ იფეთქა, რომ ქვეყანა დაყრუვდა..

უზარმაზარი მიწის ბელტები, ქვები, ხეები, ცხენები, სალხთან ერთად ჰაერში აიტაცა და კვამლსა და მტვერს შეუერთა.

შაქრო ჰაერმა შეატოკა.. უცბად თავში გაიელვეს დედის და ნინოს სახეებმა და ყველაფერს შავი ფარდა ჩამოეფარა...



ნინო სიზმარში ხედავს დაჭრილ შაქროს

— —

მიდიოდენ დღეები, კვირეები, თვეები და სალომესა და ნინოს ლოდინს საზღვარი არ ედებოდა.

წინათ ორ თვეში ერთხელ მაინც იღებდენ წერილს, ეხლა წერილიც აღარსად იყო

ნინომ ბევრჯერ დაღალა თვალები შარაგზაზე ცქერით, მაგრამ ამაოდ, შაქრო არსად სჩანდა.

ვინც კი ცოცხალი გადარჩა, თითქ'ის ყველა დაბრუნდა ჯარიდან სოფელში.

მართალია ზოგი ფეხ-მოგლეჯილი, ზოგი უსინათლო, ზოგი მკლავ მოწყვეტილი იყო, მაგრამ მაინც კმაყოფილები იყვნენ, ოომ კიდევ დაუბრუნდენ თავიანთ ოჯახებს.

შაქროზე კი არსაიდან არაფეოი ისმოდა.

საწყალი ნინო, დაეშვებოდა მუხლებზე და გულამომჯდარი დიდხანს ქვითინებდა.

სალომე—სახლში თუ კარში, ბოსტანში თუ ეენახში, მარტო-თუ მეზობელთან, დღე მუდამ დაკარგულ შვილზე მოსთქვამდა.

კარგა ხანმა გაიარა. გერმანიასთან ომი გათავებული იყო.

შუა რუსეთში სამოქალაქო ცეცხლი ენთო და მეფის გენერლები მშიერი მგლებივით ეხვეოდენ ახლად ჩასახულ მუშურ-გლეხურ მთავრობას.

მუშების და გლეხების უიარაღო და ნახევრად ტიტველი რაზმები, თავგამოდებით იგერიებდნენ გაცოფებულ მტერს და შეტევაზე გადადიოდენ.

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში პური აღარ იშოვებოდა, ნასწავლი და მოსამსახურე ხალხი სოფლად დადიოდა და ტანთსამოსსა ჰყიდდა თითო ლიტრა პურზე და უფრო ღარიბებს-კი მჭადიც ენატრებოდათ.

ამ სიმშილობის დროს სალომეს და ნინოს პატრონი არავინ იყო, არც ნაცნობი, არც ნათესავი, ყველას საკუთარი თავი გასჭირებოდა..

სოფელშიაც უკვე ხმა დადიოდა შაქროს სიკვდილის შესახებ, ვიღაც ახლად მოსულ ჯარისკაცს ჩამოეტანა შაქროს სიკვდილის ამბავი.

ბოლოს ამ ამბავმა სალომეს ყურამდეც მიაღწია.

როდესაც მეზობელმა დედაკაცმა უთხრა პირველად, თითქოს ფეხებში დედამიწა გამოეცალა, თვალთ დაუბნელდა, გულში დანამ გაუარა და პირი ვიღამაც ღონიერი ხელით მოუკუმა..

ნინო კი გამშრალი, უაზროდ თვალებ-გახსნილი, შეშინებული და ამობუზული დარჩა დიდხანს, ბოლოს მიხვდა თავის უბედურებას, დაემხო მუხლებზე და დიდხანს, დიდხანს იქვითინა..

ნიკოლოზის ჩამოგდებიდან თითქმის ოთხმა წელიწადმა გაიარა.

სალომემ შაქროს რიგი გადაუხადა და ყველა მის ტოლ ამხანაგებს დაუძახა..

ის ეხლა მეხ-დაცემულ ხესავით ამოხრილიყო და გადაქცევას ელოდა.

ნინოს ახალგაზრდა სახეც სანთელივით ჰქრებოდა თალხებში..

დარდს უორკეცებდა უფრო ის, რომ შაქროს სახეს ველარ იგო-

ნებდა. დაფიქრდებოდა, დახუჭავდა თვალებს, უნდოდა როგორმე აღედგინა გონებაში მისი სახე, მაგრამ ამაოდ...

ერთ დღეს სოფელში ხმა დააგდეს ბალშევიკები მოდიანო.

მდიდარი ხალხი აირია, ზოგმა გაქცევა დააპირა, ზოგი სხვენში. ზოგი სად მიეზიდებოდენ სკივრებს და ბოხჩებს.

აბა რა უნდა დემალათ საწყალ სალომეს და ნინოს, თუ რამ გააჩნდათ, ისიც შაქროს რიგში დაეხარჯათ ერთიანად.

ჩაკეტილიყვნენ თავის პატარა ქოხში და თითონაც არ იცოდნენ რას ელოდენ.

— შენ მაინც რაღას იკლავ თავს. შე ცოდვის შვილო,—უთხრა სალომემ ნინოს.



დედავ, ეს მე ვარ, შენი შაქრო

— ვიცი რო გიყვარდა შაქრო, ვიცი შენი პატიოსნება, მაგრამ როდემდე, შვილო, მეც დღე-დღეზე სიკვდილს მოველი, მერე ვისღა უნდა შეეკედლო, დედა შენ აღარა გყავს, მამა და სხვა ნათესავი...

— უწინამც დღე გამიქრება—გათხოვება მე არ ვიფიქრო,—მაშინვე უპასუხა ნინომ, რომელიც მიხვდა დედამთილის აზრს.

სოფელში ხმაური, ჟრიამული და ძაღლების გაბმული ყეფა ასტყდა.

შარაზე გამოჩნდა მაღალი შუბებით შეიარაღებული ცხენოსანი ჯარი, რომელსაც ერთი მხედარი გამოეყო და შუა სოფელზე შეაბრუნა ცხენი.

მას თავზე ძაბრისებური ვარსკვლავანი ქუდი ეხურა, სპილენძის ფერი ჰქონდა და მკერდზე რაღაც წითელი ნიშანი ეკერა.

ცხენოსანი სალომეს ჭიხის ეზოში შებრუნდა..

უბედურებისაგან დაშინებული სალომე შეკრთა და კანკალით გაიღო კარი.

მან ვერცკი მოასწრო ხმის ამოღება, რომ უცნობის მაგარი მკლავები მას დაუძლურებულ მხრებს მოეხვივნენ.

— დედავ, ეს მე ვარ, შენი შაქრო..

სალომეს თითქოს თავში რაღაცამ დაჰკრა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ძლივს ასწია ულონო თავი და აშკარად დაინახა, იცნო, იგრძნო საყვარელი სახე დაკარგული შვილისა...

— შვილო... შაქრო —გაისმა ჭიხში გაწყვეტილი ხმა სალომესი, რომელიც სიხარულისაგან გონდაკარგული გადაეხვია შვილს.

ნინო ამ დროს კარებთან იდგა, ვერხვის ფოთოლივით კანკალებდა, თითონაც არ იცოდა რაზე ფიქრობდა, ხან ბროწეულის ფერი შეჰლებავდა, ხან სამარის ფერი გადაუვლიდა დაღლილ სახეზე...

როდესაც შაქროს გახსნილი მკლავები ღონივრად მოეხვივნენ მის ათრთოლებულ სხეულს, შეშინებული თვალებით მიაჩერდა და დარწმუნდა თუ არა, რომ ის მართლა შაქრო იყო, ბავშვივით ჩაეკრა გულში და სიხარულის შეუჩერებელი ცრემლით აქვითინდა...

ს. ერთაწმინდელი

წითელ ყაზარმისკენ

ორღობეში ბინდი წვებოდა.

პავლე ის იყო მორჩა ვენახის ბარვას და მივიდა რუსთან ხელ-პირის დასაბანათ, რომ მოესმა ნაცნობი ხმა ღობის გარედან:

— გამარჯობა, ნათლი!

— აი, გაგიმარჯოს, ტატო!

პავლემ ხელ-პირი შეიმშრალა, წელზე შემოკრულ ჭრელი ხელსახოცით, ღიმილით შეხედა თავის ნათლულს და მიიწვია ვენახში:

— შემოდი, ხილი არ გინდა?

პავლე და ტატო ჩამოსხდენ ქოხის წინ და გააბეს მასლაათი.

— სხვა, როდის მიხვალთ?—ჰკითხა პავლემ, ბარი იქით გადასდო და მხარზე ხელი გადახვია.

— ხვალ დილით, ადრიანათ,—მიუგო ტატომ,—შენი არჩილა ხომ მზათაა?

— მზათაა, მარა, მე ვიცი მზითევის მზადება დასჭირდებოდა, რა ვიცი ჩვენებურები ვინც გაიწვიეს წითელ ჯარშია, ყველა კაი ბიჭად დაბრუნდა, მაგრამ ე ჩემ არჩილას გაშვებაზე რაღაცა გული მეთანალრება... ვინ იცის რა არის, ე ვერანა ომი კი არსადაა და რათ უყრიან თავს ამ ჩვენ ჯეელობას?

— ჰოო-და, აი სწორეთ ამიტომ გვიყვირიან თავს, რომ ვერავინ გაგვიბედოს ომი!—უპასუხა ტატემ—თუ ჩვენს სახელმწიფოს ჯარი არ ეყოლება, მაშინ ყველა დაგვიბრიყვებს და ადვილათ გადმოგვთელავს.

— რა ვიცი, ე ჯარი ხომ არის ყაზარმებში და კიდევ რაღაზე უნდათ? ამ სამიოდ თვეში რა უნდა შეისწავლონ? ალბად მიერეკებიან სადმე... პავლია მაინც ეჭვიანობდა.

— არა, ნათლი... დაამშვიდა ტატომ.

———

— აბა იქაც იკომკომოლავეთ, თუ ბიჭები ხართ, აი.—უთხრა პავლიამ სიცილით, როცა ორღობეს შეჰყვნენ შინისაკენ.

— რატომაც არა, იქ უფრო ხელს შეგვიწყობენ. ხომ იცი, წითელი ყაზარმა იგივე წითელი სკოლაა, სადაც შევიძენთ ცოდნას და გავიგებთ ქვეყნის ავსა და კარგს.

— რა ვიცი, იქნებ სად გადაკარგონ და რამდენი ხნით.

— რას ამბობ, ნათლიავ, ნიკოლას დრო ხომ არაა, როცა სალდათებს ცხრა მთას იქით გზავნიდენ ოთხი წლით?.. აქვე, ჩვენს დაბაში ვიმსახურებთ სამიოდე თვეს და გათავდება სამსახური თუ არა, ყველა დაუბრუნდება თავის ოჯახს, გუთანს, ხარ-კამეჩს. არ გახსოვს, კვირას რომ ლაპარაკობდა ალმასკომის თავმჯდომარე? ეს ახალი წესი იმისთვინ შემოიღეს, რომ დიდხანს არ მოაცდინონ მუშა დაზგას და გლეხი ნამგალს. მაშ რა გეგონა?

— მერე, კაკო, იმ გოგოს ვის უნარჩუნებ? არ გეშინიან, რომ გაგითხოვდეს?—გაეხუმრა პაველია ნათლულს.

— გაიანე? ჰმ... ისე ვუყვარ... თავი ჩალუნა, სიტყვა აღარ დაათავა

— ი ტეტუანთ სანდრა ძაან კი დასტრიალებს თავსა და...

ტატო შეფიქრიანდა.

— მე ვაჩვენებ იმას. – დაემუქრა ტატო და ქოჩორზე ხელი გადაისვა.

— გეხუმრე, ნათლულო, გეხუმრე, იმას ვინ მიაქვავებს ისეთ გოგოს?—დააიმედა მოწყენილი ნათლული.

სიჩუმე ჩამოვარდა, კარგა მანძილი გაიარეს უხმოდ.

ნიავი ასისინდა, ფოთლებმა ჩურჩული ასტეხეს. სადღაც ისმოდა დაგვიანებული ურმის ჭრიალი. სოფელი დასაძინებლათ ემზადებოდა.

მთის იქიდან მთვარე ამოგორდა, გაანათა არე მარე.

დუკაანთ კალოზე ჯარში მიმავალ ახალგაზდობას გაემართა ლხინი.

შაირში შეჯიბრება, სიმღერა, ცეკვა, მხიარულება, ერთმანეთში ირეოდა.

მოხუცებული კაკო მარდათ ათამაშებდა თითებს ფანდურის სიმებზე და დამღეროდა თავის-მიერვე გამოთქმულ ლექსებს:

— ძმებო შეგმოვკრბეთ სუყველა,
წავიდეთ წითელ ჯარშია,
შეურცხვეს იმას ბიჭობა,
ვინც დაიმალოს სახლშია.

აქ შეკრებილთ ერთი ახალგაზრდა გამოაკლდა ფეხაკრეფით და საბძელს მიეფარა.

ცოტა მოშორებით რამდენიმე ახალგაზრდა ერთი-მეორეს ებაასებოდა:

— მე ქვევითა ჯარში მირჩევნია, შენა?

— მე, ცხენოსანში.

— მე, არტილერიაში. შენა? რას გაჩუმებულხარ?..

— მე... მე...

— ჰო, სთქვი რაღა.

— მაგას სახლში ურჩევნია ჯდომა, ბებია ჩემ მართასავით,—დასცინა ვილამაც. მაგრამ ის არ დაბნეულა.

— მაცათ, თუ ყველას არ გაჯობოთ და თავზე არ წამოგასკუპდეთ. ი ძერაა თუ რაღაცა ჰაეროპლანი, იმაში ჯდომა თუ არ ვისწავლე და ზეიდან არ დაგიშინეთ, მაშ მე ვანუა არა ვყოფილვარ...

— შენ აქ ძლივს დაათრევ ფეხებსა და იქ როგორ უნდა იფრინო?—არ უსვენებდა შალიკო და თან ჯამს გადადიოდა.

— აბა, დალიე. ეს შენი ფრენისა და ახალი ჯარის სადღეგრძელო იყოს. რას იბუტები შვილო-ნანიასა, გეხუმრე, შე ვერანო...

— ყველაფერი სწავლითაა, ვანო და იქნება შენც მართლა კარგი მფრინავი გამოხვიდე. დააიმედა ლექსომ.

— მაშა, მარა გეგონათ?—გათამამდა ვანო და თან ღვინით სავსე ჯამი გამოცალა.

— რა ვქნა, ეს ტატო სად გაგვეპარა?—იკითხა არჩილამ.

— აბა, ხომ იცი, რომ ის ღვინის სმაში უშნოა და, ალბად გვიღალატა.—წარმოსთქვა კაკომ და ჩამოჰკრა ფანდურს:

ბიჭებო, ამაყ სიმღერით
გავიდეთ ბრძოლის ველზედა
და შემოვევლოთ საყვარელ
თავისუფლებას ყელზედა...

—

— რამდენი ხანია გელი, სიცოცხლევ, სადა ხარ აქამდის?— ჩურჩულით უთხრა დერეფანში გამოსულმა ქალმა ჭურდულათ მისულ ვაჟს და მკლავები კისერზე შემოხვია.

— ჯარში წასასვლელმა ბიჭებმა პატარა ქეიფი გავმართეთ და იქ შემიგვიანდა. გამოვიპარე შენს სანახავად.

— ტატო, გენაცვა, არ დამივიწყო....

— გაიანე, აბა რას ამბობ, ვიდრე ეგ მოხდებოდეს, უწინ ჩემს გულს ტყვია მოხვდეს, ის მირჩევნია.—მიუგო ტატომ მტკიცეთ.

— თქვენებმა დაიძინეს?

— კარგა ხანია...

— მაშ წავიდეთ, კაკლის ქვეშ დავსხდეთ.

ქალი დათანხმდა. წავიდენ.

ორი ახალგაზრდა გული მოუთმენლად სცემდა, ტუჩები ერთმანეთს კარგა ხანს არ მოსდებოდა, ისმოდა ნელი ამოოხვრა.

— სსსს.... სსსსს... სისინებდა სიო.

— შშშ... შშშ... შრიალებდენ კაკლის ფოთლები და წენგოს სურნელებას ჰფენდენ ირგვლივ.

გოგო, ვიდრე მე ღავბრუნდე,
არ გამცვალო სხვაშია,
თავი არ დამახრჩობინო
აღელვებულ ზღვაშია...

მოისმა ფანდურზე დაძახილი.

— ჩუ.

— რა იყო?

— ჩვენი ბიჭები აშლილან სუფრიდან, სახლებში მიდიან... გესმის გაიანე, ის სიტყვები: ვიდრე მე დავბრუნდებოდე, არ გამცვალო სხვაშიაო.

— ტატო, მაშინ მოგიკვდეს ჩემი თავი.—უთხრა გაიანემ და თავი მკერდზე მიაყრდნო.

ჩამოვარდა სიჩუმე, ისეთი, როგორიც ხშირია შეყვარებულთა შორის, როცა მრავალი სათქმელი აქვთ, მაგრამ თითქოს ვერ ახერხებენ, ან არ უნდათ სიჩუმის დარღვევა და ასე ჩაკონილნი, ერთის გრძნობით, ერთის სუნთქვით სცოცხლობენ...

მამლებმა იყივლეს.

ვარდისფერი განთიადი ახლოვდებოდა.

სადღაც ძაღლმა შეჰყეფა.

——

დილამ მტრედისფერი ნისკარტი ჰკრა ლურჯ-თვალა ცას და მზე ღიმილით გადმოადგა ქედს. აჟრიამულდენ ფრინველები, ნახირი მინდვრათ გაიფინა ბღავილით.

— შვილო, ვინძლო არ შემარცხვინო და კაი ბიჭი დადგე... ესმის ტატოს მამის დარიგება.

— ნუ გეშინია, მამა ჩემო, ღირსეული დაგიბრუნდები.—მიუგო ღიმილით....

მიმავლები ვიდრე ვენახებს არ მიეფარნენ, გაიანეს თვალი არ მოუშორებია ტატოსათვის.

მოვდივართ, მოგვიხარიან,
წითელი დროშის ფრიალით,
ყველა მტრებს დავცემთ თავზარსა
ჩვენი შეტევის გრიალით...

ჯერ კიდევ კარგა ხანს ისმოდა ახალგაწვეულთა სიმღერა ორღობის ბოლოს.

შორს ორთქმავალმა შეჰკივლა...

გლეხი მწერლები

გლეხი და სოფლის ღარიბელა

რას დაწანწალებ წურბელავ,
მოკლე არშინით ხელშია,
რა გინდა, რა დაგრჩენია
ნეტავი ამ სოფელშია?
ზურგზე აგიკრავს ბოხჩითა,
დამპალი, ძველი ფართალი,
არ შეგრჩენია ნამუსი,
სინდისი და სამართალი.
გაჰკრავ – გამოჰკრავ არშინსა,
ხუთს მომიზომავ შვიდათა,
მიჩვეული ხარ ქურდობას,
არ შეწუხდები დიდათა.
შენი დამპალი ჩითები
რა ჭირში გამომადგება,
ძაფსაც კი არ დაიმაგრებს,
ვერ გასძლებს, მალე გაცვდება.
და მე სადა მაქვს ფულები
გაძლიო წარა მარადა,
გლეხი ვარ, ვშრომობ დღე და ღამ,
ოფლი ჩამომდის ღვარადა.
მიწის მუშა ვარ, ერთგული,
ტყავსა ვცვეთ ხელის გულზედა,
მეც ხომ შენსავით არ ვცხოვრობ
მუქთად მოგებულ ფულზედა.
ჩვენ გვიყვარს ქარხნის მუშები,
ქურა და საბერველია,
ცხელ რკინას ებრძვის მჭედელი,
გამოჰყავს ნამგალ-ცელია.
გვიყვარს საქსოვი ქარხანა,
მუშები ოფლის მღვრელია,
იქ მოქსოსული ფართალი
გამძლე, მაგარი, ლ,ქელია.
ჭირიმე ჩვენი გლეხკომის,
მტრისთვისა გულის მწველია,
გლეხების მარად მოსარჩლე,
ვაჭრების თვალის მთხრელია.
არ გვინდა ჩარჩი, ვაჭარი,
ცრუ, არამზადა მღვდელია,
მუშა და გლეხის ჭირიმე,
წმინდა ოფლისა მღვრელია.

ვ. სალუქვაძე

გლეხის მოგონება

უსამართლობის ყურებით
თვალები მიბნელდებოდა,
ტიალი სიღარიბისგან
სიცოცხლე მიძნელდებოდა.
გამოვიდოდი ყანაში,
ხელში მეჭირა თოხია,
იმას ვფიქრობდი, ბედ-შავი,
რით დამეხურა ქოხია.
გამიტაცებდა ის დარდი,
რით გამესტუმრა ვალია,
ჩავვარდებოდი მეწყერში,
რომ გამეყიდა ხარია.
კოლშვილის ჯავრით ვკვდებოდი,
ველარ უძლებდი ტირილსა,
ვერც ბოქაულის სამსახურს,
ფეხების ბრაგუნ-ყვირილსა.
მიწაზე წოლით, მე საწყალს,
მიწყლულდებოდა გვერდია,
ათასჯერ დამიწყეველია
საწყალი კაცის ბედია.
წელში ვიყავი მოხრილი
ჩავჩერებოდი მიწასა,
ხან და ხან წვიმას უცქერდი,
როგორც რომ ბავში ძიძასა.
გოლვისა ჟამსა ვშიშობდი,
რომ არ მომსლოდა პურია,
კოლ-შვილს შიმშილი მოჰკლავდა,
შევიქნებოდი კრულია.
მიწა სხვის იყო, შრომა კი,
ჩემი მკლავების ვალია,
საწყალი კაცი ვიყავი,
არ მქონდა მიწა-წყალია.
კალოს გავლეწდი, თავს მედგა,
ღალისთვის ჩემი ბატონი,
ნაშრომს მიყოფდა შუაზე,
ის იყო ბატონ-პატრონი.
ეხლა ვარ თავისუფალი,
არავის ვაძლევ ღალასა,
ვხნავ, ვთესავ, არვისგან ვშიშობ
და მე ვპატრონობ ყანასა.
მიწა ჩემია, ვმუშაობ,
წინ გადამშლია ველია,
აღარ მაწუხებს ვაჭარი,
არც გზირი, არცა მღვდელია,
გავნთავისუფლდი ყველასგან,
გულ-მხიარული ვმღერია.

იაკიმე დავლიანიძე

გლეხებს

თქვენი ჰირიმე, გლეხებო,
თქვენთვის ვიწოდი, ვდნებოდი,
ციხე-ციმბირი ვიგემე,
შიშით აქ ველარ ვჰნდებოდი.
ახლა კი თავისუფალი,
მოხუცი გიმღერთ ამასა:
სწავლა მაეცით შვილებსა,
თქვენც მიჰყეთ ანაბანასა.—
შრომით, ცოდნით და ერთობით
მტრებს გულში დავცემთ დანასა!

ვ. ზვარეთელი.

ნუ სჩეხავ ტყესა

ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო,
მთა გატიტვლდება, ბრალია,
ია და ვარდი დაზრება,
ფესვებს მოუთხრის ქარია.
ტყე შეუნახე შვილებსა,
მამა ხარ; შენი ვალია,
თორემ ჩამორეცხს ავდარი,
კლდე-ღა დარჩება სალია.
მთის ცივი წყარო დაშრება,
ყანას მოგიჭამს კალია;
ველარც იშოვი ხე-ტყესა,
გამოგეთხრება თვალია,
დაგლუპავს, დაგანიავებს
ძლიერი ზენა ქარია.
ტყეს გაუფთხილდი, ძმობილო,
ტყე მუდამ შენი ფარია,
მას ნუ ექცევი მტრულადა,
მოყრულათ მოიხმარია,
შვილების ცოდოს ნუ იდებ,
გამოახილე თვალია.

ვასო აფციაური

ჩვენ ვიცით

რათ არა ძღება მდიდარი,
ხარბი და გაუმაძღარი,
მტარვალთა გულის წადილსა
რატომ არა აქვს საზღვარი.
გლეხი ვარ, მაგრამ მეც მესმის
ცხოვრების ავი, კარგია,
ჩვენს შესაცდენად მტერს ენა
მოურთავს, მოუქარგია.
დაძვრება სოფლად, ქალაქად,
შურით ვერ მოუსვენია.
მან ვერ გაიგო ოხერმა,
რომ ეს ქვეყანა ჩვენია.
რას გვარგებს ღვდელი, თავადი
ან მენშევიკთა პარტია,
ყველა ეს ხროვა, ტიალი,
სოფლის ზედმეტი ბარგია.
ჩვენ ვიცით ჩვენი გზა-კვალი,
ჩვენი წესი და უფლება,
გვიყვარს და საყვარელია
საბჭოთა ხელისუფლება.

გიო კანანელი

გლეხის სიმღერა

გლეხი ვარ, გლეხათ შობილი,
სახელიც მქვიან გლეხისა,
მისთვისაცა ვარ მტარვალთა
თავზარდამცემი მხისა.
დღემდე ყველა მე მჩაგრავდა:
მღვდელი, ბერი და ბატონი,
ჩემი ნაოფლარ-ნაშრომის
ისინი იყვნენ პატრონი.
ბედს ვიწყეველიდი, ბეჭავი,
უტყვად მაქცევს მეტყველი,
არ ავცდებოდი მათრახებს,
რომ შემებრუნა მეც ხელი.
დღეს გამილიმა მე ბედმა,
დაემხო ძველი წესია,
ბრძოლის განთიადს ამოჰყვა
ჩვენი დამხსნელი მესია.
დღეს თავადებიც გლეხობენ,
ძმათ გვეფიცება ბერია,
თუმცა გულით ყველანი
ღვესაც ჩვენივე მტერია

ნ. ჯიხაიშელი

მოხუცი გლეხი

სიბერის დროს მაინც ხომ
გამეხილა თვალები,
გამანორჩა ახალ დრომ,
მე მას ვენაცვალები.
მატყუარა მღვდელი და
ულმობელი ბატონი,
ორივე გლეხს სწველიდა,
როგორც ძროხას პატრონი.
დღეს კი ყველა ისინი
აღარა გვყავს, აღარა,
მათი შეამის სისინი
ჩვენმა რისხვამ დაღარა.
დღეს თვითვე ვართ ბატონი
და ვიქნებით კვლავადა,
თავის-თავის პატრონი,
მტრების გულ-საკლავადა.

გლეხი ი. სტურუა

ჩემი სიმღერა

დაზამთრდა და ტყვიასავით
მოზუზუნებს ნიავ-ქარი,
ჩამოთოვლა ტყე, მთა, ველი,
შემოთოვლა ქოხის კარი.
სიცივეა, ყინავს, მაგრამ
გამთბარია ჩემი გული
სიხარულით, რომ გლეხი ვარ
და მთავრობა გვყავს გლეხური.
მისი ცდა და მუშაობა
ჩვენ იმედებს გაგვიმართლებს,
ქოხს დარბაზათ გადაგვიქცევს,
გაგვითბობს და გაგვინათებს.
და მე რაღა სულელი ვარ,
რომ რამეში მას ვუმტყუნო.
ბარემ მოვკვდე, უიმისოდ
რაღათ მინდა მზეს ვუყურო.

სოლომონ ბოსტოღანაშვილი

ი. მო—ლი

დანიელ ჭონქაძე

ქართველი მწერალი, რომელმაც პირველმა ამოიღო ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ

ჩვენი ნიჭიერი მწერალი დანიელ ჭონქაძე დაიბადა 1830 წელს სოფ. ყვავილში, დუშეთის მაზრაში. ჩამომავლობით გლეხი იყო, თუმცა მისმა მამამ შემდეგ ღვდლობა მიიღო, მაგრამ მთელი მისი მოხლობელი ნათესავები გლეხები იყვნენ და გლეხურ ცხოვრების ჭაპანს ეწეოდნენ.



დ. ჭონქაძე

დანიელი ადრე დაობლდა. როდესაც ცხრა წლისა შესრულდა, ბიძებმა ჯერ შინაურულად დააწყებინეს ქართული წერა-კითხვა და შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს. აქედან ის გადავიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაათავრა 1858 წელს და იმავე წელიწადს გაამწესეს მასწავლებლად. ამავე ხანში მან შეირთო ცოლი, თუმცა ძალე გარდაეცვალა, რამაც დიდს მწუხარებაში ჩააგდო. ანის შემდეგ თვითონაც დიდხანს აღარ უცოცხლია. ის 1861 წელს გარდაიცვალა ჭლექით და დასაფლავებულია ვერის სასაფლაოზე, თავის ცოლის გვერდით.

პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც გამბედავად ამოიღო ხმა ბატონყმური წესწყობილების წინააღმდეგ, იყო დანიელ ჭონქაძე.

მან დასწერა მოთხრობა „სურამის ციხე“, რომელშიაც დაგვიხატა მაშინდელი გლეხის უმწეო მდგომარეობა.

ამ ნაწარმოებში გადმოცემულია ის შავბნელი დრო, როდესაც ადამიანს ადამიანი მონად ჰყავდა, როდესაც მკონარა, უქნარა ბატონი მხართეძოზე წამოწოლილი არაფერს აკეთებდა და ყველაფრის პატრონი იყო და საწყალი გლეხი-კი დღე-ღამეს ასწორებდა, შრომობდა, ოფლს იწურავდა, ხან პირუტყვთანაც კი ებმებოდა, მაგრამ არაფერი საკუთარი არ გააჩნდა და სიმშილში და სიტიტველეში ხდებოდა სული.

ჭონქაძემ ეს ნაწარმოები სწორედ მაშინ დასწერა, როცა ამ წესწყობილების წინააღმდეგ ხმის ამომღები არავინ იყო.

განა არ იყვნენ მაშინ მწერლები და მოღვაწენი, ვისაც ამისათვის ყურადღება უნდა მიექცია?

როგორ არ იყვნენ, მაგრამ თითქმის ყველა, იმავ მებატონეების წრიდან იყვნენ გამოსული. მათი აზრით ბატონისა და ყმის შორის მამაშვილური და ტკბილი ცხოვრება იყო დამყარებული.

ისინი შორს იყვნენ იმ საშინელ ტკივილებიდან, რომელსაც გლეხკაცობა გრძნობდა და არ ესმოდათ გმინვა მონობის უღელში შებმულ ადამიანებისა.

მაგრამ დანიელ ჭონქაძე ხომ გლეხკაცობის წრიდან იყო გამოსული. მისი მახლობლები და ნათესავები, მისი მეზობლები და თანასოფლელები ხომ ბატონყმურ სიმძიმის ქვეშ გმინავდენ. მას ხომ პატარაობიდანვე ესმოდა მათი კვნესა და წუხილი. თვითონაც ხომ არა ერთხელ იყო მათი მწუხარების მოზიარე.

მართალია, პირადად ალარა ჰყავდა ბატონი, მაგრამ მისმა სპეტაკმა სინიდისმა ვერ აიტანა და ვერ გაუძლო საშინელ ძალმომრეობას, რომელიც მის მოძმე ხალხს მონობის ბორკილში სჭედავდა.

და მან იკისრა მძიმე ტვირთი გლეხკაცობის პირველი მოსარჩლისა და მიუდგომლად, ყოველი ბნელი კუნჭულის დაუფარავად, ნათლად და მკაფიოდ დახატა ბატონყმობაში მისი, ენით გამოუთქმელი და აუტანელი მდგომარეობა.

— „რაღა არ გამოვცადე,—უამბობს მოთხრობის გმირი დურმიშხანი ვარდოს,—სიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინვა და სხვა ბევრი ამისთანა. ვინც რასმე დაამავებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო. მე ბევრჯელ მიგმია ღმერთი, ჩემი გაჩენისათვის... მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშის მომცემი? არავინ... თვით ღმერთი... არ იყო ჩემთვის... სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენი ბედნიერება არ შეიძლება.

— „ბატონთან რომ მიგვიყვანეს,—ამბობს მოთხრობის მეორე გმირი ოსმან-აღა,—უბრძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში, დიაღ გუთანში! ისე როგორც აბმენ ხარებს. ხარის უღელი დაგვადგეს კისერზე. მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა სუმბუქად, იმიტომ, რომ გუთანში ხარები დადიან ნელა და ვერ დავიღლებოდით და ამისთვის მეორე დღეს შეგვაბა კევრში, კევრზე დაჯდა თვითონ და გვერეკებოდა. ცოტა რომ დავმდგარიყავით ამოსუნთქვისათვის, მაშინვე გველოდა სახრე. რამდენი სირბილი შეუძლია კაცს, უმეტესად ისე დასუსტებულს, როგორიც იყო დედაჩემი, თითქმის ათჯერ შემოუარა კალოს ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან. მეთერთმეტედ რომ უნდა დაეწყო შემოვლა, დედაჩემი უეცრად წაიქცა და მოკვდა. საწყალს დედაჩემს არც კი დააცადეს, რომ მშვიდად მომკვდარიყო, ბატონს ეგონა, რომ ატყუებდა... და სახრით დაუწყო ცემა... და ასე სახრის ქვეშ ამოუვიდა სული“.

აი როგორი მამაშვილური განწყობილება იყო დამყარებული ბატონსა და ყმას შორის... და როცა დანიელმა ჩვენს მაშინდელ მწერალთაგან და მო-

ღვაწეთაგან მოისმინა თავისებური გამართლება ბატონყმობისა, ვერ აიტანა და მკვახედ მიახალა პირში:—**სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლებაო.**

ასეთი გაბედვა, ასე მოურიდებელი თქმა და ბატონყმობის სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, არც ისე ადვილი იყო.

დაიბეჭდა თუ არა ეს ნაწარმოები, ჩვენი მაშინდელი „ბრწყინვალე“ საზოგადოება ამხედრდა მწერლის წინააღმდეგ და ბოროტი თვალით დაუწყო მას ცქერა. ამ საზოგადოების ნაძირალებმა ერთხელ მას, ტფილისში, კუკიის ხიდიდან მტკვარში დაუპირეს გადაგდება, მაგრამ, როგორც იყო, თავს უშველა. ერთხელ კლუბში უნდოდათ ეცემათ, მაგრამ აქაც გაპარვით დაახწია თავი ხიფათს.

დრო გავიდა, „სურამის ციხემ“ თავისი საქმე გააკეთა. მან თვალი აუხილა გლეხკაცობის შთამომავლობას და დააფიქრა თავის მძიმე მდგომარეობაზე.


საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა ხმა აიმაღლა ძალმომრეობის და უსამართლობის წინააღმდეგ.

მონობის ჯაჭვი დაიმსხვრა.

ცხოვრების ქარიშხალმა წაიღო და დავიწყებას მისცა ის შავბნელი დრო, რომელზედაც გულს ტკივილით მოგვითხრობდა დანიელ ჭონქაძე.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ, მაშინდელი ყმა-გლეხი ქვეყნის ბატონ-პატრონად გახადა.

განახლებული ქვეყანა არ დავიწყებს მის მოამაგე მებრძოლებს და მათთან დანიელ ჭონქაძეს, რომელიც მომავალი გაზაფხულის პირველი მახარობელი მერცხალი იყო.



ქვეყნის ამბები

დიდი სახელმწიფოები—**ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია,** რომლებმაც მსოფლიო ომში გაიმარჯვეს, ერთი-მეორეს მეგობრობაში ეფიცებიან და ვითომც კავშირიც აქვთ, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული თვალთმაქცობაა. სინამდვილეში ისინი ერთი-მეორის მოსისხლე მტრები არიან და ყოველი მათგანი ცდილობს მეორეს დრო უპოვოს, ყელში წაუჭიროს და ქვეყანაზე პირველობა ჩაიგდოს ხელში.

ამერიკას სურს მთელი ქვეყნიერების ბაზარზე გაბატონდეს, ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ევროპაში მისი ბრძანებლობა იქნეს, საფრანგეთი კი თავისი მხრივ ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ ინგლისს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ საქმეში და პირველობა თვითონ ჩაიგდოს ხელში.

გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა **ერთა ლიგა** დააწესეს, ეს ვითომც იმისათვის, რომ სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხები მორიგებით და მოლაპარაკებით გადავწყვიტოთ და ომს ნუ ავსტეხთო. ერთა ლიგაც თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი. გარეგნულათ ერთა ლიგა საერთაშორისო დაწესებულებაა, სადაც იცავენ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობას, მაგრამ სინამდვილეში ის მდიდარი სახელმწიფოების სათამაშოა. როგორც ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო მოინდომებს, საქმეც ისე გადაწყდება ლიგაში.

დღეს ერთა ლიგის ბატონ-პატრონი ინგლისია და საქმეებიც მის სასარგებლოთ წყდება. ამას წინათ ერთა ლიგის კრება იყო. ინგლისმა ოსმალეთს უმდიდრესი ალაგი წააგლიჯა. ეს არის **მოსული,** რომელიც სავსეა ნავთის წყაროებით. ერთა ლიგას უნდა დაედასტურებია, რომ

მოსული ინგლისს ეკუთვნის და არა ოსმალეთს. რა თქმა უნდა, მოსული დიდი ხანია ოსმალეთს ეკუთვნის, მაგრამ რადგან ინგლისს უნდა მდიდარი ადგილების ხელში ჩაგდება და ერთა ლიგაშიაც ის ბატონობს, ერთა ლიგამ მოსული ინგლისს უბოძა. ესეც შენი სამართალი.

ერთა ლიგაში იკრიბებიან კაპიტალისტური ქვეყნების მინისტრები, კარგ დროს ატარებენ, ბლომათ ფულს იღებენ, ლამაზათ ლაპარაკობენ, სიტყვით ქვეყანას მშვიდობიანობას ჰპირდებიან, საქმით კი ხელს უწყობენ ყოველ ომს და სისხლის ღვრას. ახლა გაცხარებული ომია საფრანგეთსა და მაროკოს შორის, საფრანგეთსა და სირიას შორის საშინელი სისხლის ღვრაა ჩინეთში, იტალია ომით ემუქრება გერმანიას, ერთა ლიგის წევრები კი ლაზღანდარობენ.

ვერავითარი ერთა ლიგა ვერ ააცდენს კაცობრიობას ომსა და სისხლის ღვრას, სანამ ყველა სახელმწიფოებში ძალა-უფლებას არ ჩაიგდებენ ხელში მუშები და გლეხები. მუშებს და გლეხებს ერთმანეთში საბრძოლველი არაფერი ექნებათ და აღარც ომი მოხდება. მდიდრებს კი მარტო საკუთარი ჯიბე აინტერესებთ და ხალხის სისხლის ღვრა მათ არ აწუხებთ.

* * *

და აი ამ ერთა ლიგაში ეპატიჟებიან საბჭოთა კავშირს. ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე ჩემბერლენი, რომელიც ეხლა ერთა ლიგის სულის ჩამდგმელია და თან ჩვენი მოსისხლე მტერიც, გვიწვევს ერთა ლიგაში. ერთა ლიგაში მოკალათებული არიან მდიდარი სახელმწიფოების მთავრობების წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, ისინი უმეტესობას შეადგენენ და ჩვენ რომ იქ შევიდეთ წევრათ, იძულებული გავხდებით ისე მოვიქცეთ, როგორც მათთვის აჯობებს. ასეთ პირობებში ჩვენი მთავრობა, რასაკვირველია, არ ისურვებს ლიგაში შესვლას.

ომში დამარცხებული **გერმანია** კი იძულებული გახადეს, რომ ერთა ლიგაში შესულიყო. ნათქვამია: ძალა ალმართსა ხნავსო. გერმანიასაც ასე მოუვიდა. თუმცა დღეს გერმანიაშიც მდიდრების მთავრობაა, მაგრამ არც იმას სურდა ლიგაში შესვლა. ინგლისმა და საფრანგეთმა აიძულეს და შეიყვანეს ლიგაში, რითაც გერმანიამ დაკარგა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ გერმანია ისე უნდა მოიქცეს, როგორც ეს აჯობებს ინგლისისა და საფრანგეთისათვის.

რადგან გერმანიაში მუშებმა და გლეხებმა ვერ გაიმარჯვეს, ისევ ყოფილმა მეჯემ, პრინცებმა და ღენერლებმა წამოყვეს თავი. ეს ვაჟბატონები მოითხოვენ დიდ პენსიებს და ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. მათი ყოფილი ქონება თითქმის ორ მილიარდ მანეთად ღირს. ახლა თუ კიდევ პენსიები დაუნიშნეს, შენს მტერს, გერმანიის ხალხი კიდევ უფრო დალარიბდება. მთავრობა ისეთი პირებისაგან შესდგება, რომლებიც მომხრე არიან, რომ მათ ქონება დაუბრუნონ. მოღალატე სოციალ-დემოკრატებიც მათ უჭერენ მხარს. ერთად-ერთი გერმანიის კომუნისტური პარტიაა, რომელიც სასტიკი წინააღმდეგია ქონების დაბრუნებაზე. პირიქით ის მოითხოვს, რომ ყველა მდიდრებს ჩამოერთვას მამულები და ქონება და ღარიბ ხალხს გადაეცეს, მაგრამ სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით იქ კომუნისტები არ შეადგენენ უმრავლესობას, სოციალ-დემოკრატები კი ბურჟუაზიას უდგანან გვერდში,

*
* *

საფრანგეთში აუარებელი მდიდარი ხალხია. თვითონ საფრანგეთი მდიდარი ქვეყანაა. მიუხედავათ ამისა, საფრანგეთი გაკოტრების გზას ადგია: ფულის ფასი ეცემა და ვერაფერი ვერ მოახერხეს, რომ ფულის ღირებულება განამტკიცონ. ამის გამო მთავრობაც შეიცვალა, რამდენიმე ფინანსთა მინისტრი დაეცა, ირჩევენ ახლებს, ეგებ ფულის საქმეს რამე ეშველოსო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი მოაგვარეს.

მდიდრები, იმის მაგივრათ, რომ სახელმწიფოს მოეხმარონ, ცდილობენ თავიანთი ქონება სხვა სახელმწიფოში გახიზნონ. მინისტრები კი ხარჯებს და გადასახადებს ღარიბ ხალხს—მუშებსა და გლეხებს აკისრებენ. ამნაირათ, რასაკვირველია, საქმე ვერ გამოსწორდება. გადასახადი უნდა გაეწეროს მხოლოდ მდიდარ ხალხს. რაც სახელმწიფოში ქონება და სიმდიდრეა—რკინის გზები, მადნეულობა, ბანკები, ფაბრიკა-ქარხნები—ყველაფერი ეს კერძო პირებს ეკუთვნით, რომელთაც არაფრის გადახდა არ სურთ. ღარიბი ხალხი კი ისედაც ღარიბია და რაც არა აქვთ, რას გადაახდევინებენ და მით უმეტეს იმდენს, რომ საფრანგეთმა თავისი ფულის ფასი განამტკიცოს და ვალებიც გადაიხადოს. საფრანგეთში მდიდრების მთავრობაა, რომელიც ისევ მდიდრებს უჭერს მხარს.

არც საფრანგეთში შეადგენს ჯერ-ჯერობით უმეტესობას კომუნისტური პარტია. ოცდაათამდე კომუნისტი დეპუტატია არჩეული იქაურ დეპუტატთა პალატაში და ისინი მთავრობას შავს დღეს აყენებენ, ამხელენ

ყოველივე მათს ვერაგობას და ბოროტებას, მაგრამ რადგან უმცირესობას შეადგენენ, ვერ იმარჯვებენ. მთავრობა სასტიკათ სდევნის კომუნისტებს, მაგრამ ამის გამო კომუნისტების რიცხვი კი არ კლებულობს, კიდევ უფრო იზრდება. საფრანგეთის ბურჟუაზიას აცახცახებს კომუნისტების შიშით, მაგრამ ნათქვამია: შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო!

***

საფრანგეთის მთავრობას „სურს“ ჩვენთან მეგობრობა და საქმის დაჭერა. საბჭოთა კავშირში განუსაზღვრელი სიმდიდრე მოიპოვება: ნავთი, მადნეული, მიწა-წყალი, დიდი ბაზარი და სხვა. საფრანგეთის კაპიტალისტებს ამით უნდათ ისარგებლონ და „სამეგობროთ“ ხელს უწვდიან ჩვენს კავშირს, მაგრამ ერთი რამ აბრკოლებთ; წინა დროებაში ჩვენმა სისხლის მსმელმა მეფეებმა საფრანგეთის ბურჟუაზიისაგან ისესხეს ფულები და ეხლა ჩვენ გვთხოვენ იმ ვალის გადახდას. საბჭოთა კავშირი კი მეფის ვალებს არ იხდის და არც გადაიხდის. ფული ჩვენი ხალხის სამტროთ და დასამონავებლათ იყო მეფეებისაგან ნასესხები და რისთვის გადაიხდის ამ ვალს საბჭოთა კავშირი? ამას გარდა, ჩვენი რევოლიუციის დროს საფრანგეთი ეხმარებოდა თეთრ-გვარდიელებს და აურაცხელი ზარალი მოგვაყენა.

საფრანგეთის მთავრობას ჩვენი მთავრობა ეუბნება: გაგვიხსენით სესხი, მოგვეცით საშუალება შევიძინოთ მანქანები, იარაღები, რომ დავიმუშავოთ ჩვენი მიწა-წყალი, მადნეულობა, გავხსნათ ფაბრიკა-ქარხნები, რის შემდეგ ჩვენ საშუალება გვექნება ვილაპარაკოთ ძველი ვალების გადახდაზეო.

ეს სავსებით სამართლიანი წინადადებაა.

ახლა უკვე ჩასულია ჩვენი მთავრობის წარმომადგენლობა პარიზში, ამხ. **რაკოვსკის** თავმჯდომარეობით, და მოლაპარაკება არის გამართული.

***

ლატვია, ესტონეთი, ფინეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხო-სლოვაკია და სხვა პატარა სახელმწიფოები ომის შემდეგ დაიბადენ. მათის აზრით ისინი დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან, ნამდვილათ კი ყველა ისინი დამოკიდებული არიან დიდი სახელმწიფოებისაგან და მათი ბრძანებით მოქმედებენ. უმეტესათ საფრანგეთი უწყობს მათ ხელს და მის ტაშზე ხტუნავენ.

ზოგი ამ პატარა სახელმწიფოთაგანი საბჭოთა კავშირსაც უყეფს, პატარა ფინიასავით. ალბათ რომელიმე დიდი სახელმწიფოს იმედი აქვს, თორემ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვინ რას გახდება.

ლატვიამ ისახელა თავი თავისი სირეგვნით ჩვენს წინააღმდეგ. მათს დედა-ქალაქს **რიგას** ეძახიან. ამას წინათ ჩვენმა მთავრობამ რიგაში სანდო პირებს, პოლიტიკურ კურიერებს, საჭირო ქაღალდები გაატანა იქ გადასაცემათ. როცა ჩვენგან გაგზავნილ ამხანაგებს მატარებელში ეძინათ, ღილაც არამზადები თავს დაესხენ რევოლვერებით და მოკვლა მოუნდომეს.

ჩვენი კურიერებიც მათ შესაფერისათ დახვდენ: რევოლვერს რევოლვერით უპასუხეს და ერთი თავდამსხმელი მოჰკლეს. დამცემებმა მოახერხეს ერთი ჩვენი კურიერის მოკვლა და მეორეს მძიმეთ დაჭრა. მძიმეთ დაჭრილი თავის ფოსტას არ ნოეშვა: ის სისხლით იცლებოდა, მაგრამ მაინც მოახერხა ფოსტის ჩატანა რიგაში და გადაცემა დანიშნულებისამებრ. ამნაირათ, ჩვენმა ამხანაგებმა სასახელოთ დაიცვეს თავისი მოვალეობა საბჭოთა კავშირის წინაშე.

ვინ იქნებოდენ ეს თავდამსხმელები? ვის რათ უნდოდა ჩვენგან გაგზავნილი ფოსტა? ლატვიის მთავრობას რომ კითხო, თავს იმართლებს, რომ ეს უბრალო ავაზაკობააო, სისხლის სამართლის საქმეაო, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ალბათ **ლატვიის** მთავრობას ესაჭიროებოდა ჩვენი ფოსტის შინაარსი და მკვლელებიც მან მიგზავნა. მას შეეძლო და ვალდებულიც იყო თავის მიწა-წყალზე ჩვენი დიპლომატიური კურიერები დაეცვა და კიდეც შეეძლო ეს, მაგრამ მან ეს არ ისურვა.

ჩვენი მთავრობა მოითხოვს სასტიკ გამოძიებას და დამნაშავეთა სასტიკ პასუხისგებაში მიცემას.

საბჭოთა კავშირს აქვს საშუალება მოითხოვოს სამართალი ვისგანაც არ უნდა იყოს.

* * *

შვეიცარიის ქალაქში—**ჟენევაში** იკრიბებიან სხვადასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებსაც ექნებათ მსჯელობა განიარაღების შესახებ. ვიცით რომ, სახელმწიფოები თანდათან აძლიერებენ შეიარაღებას: ყველა ცდილობს იქონიოს მეტი საომარი მასალა, ზარბაზნები, თოფები, წყალქვეშა ნავები, ნაღმოსნები, აეროპლანები, მეტი ჯარი და სხვა. ვინ მოსთვლის ყოველ იარაღს და მანქანას, რასაც ახლა სხვა

და სხვა ბურჟუაზიული სახელმწიფო ამზადებს, ხალხის გასაჟლეტათ. ჟენევის კრებაზე აპირებენ გადასწყვიტონ განიარაღება. ბურჟუაზიული მთავრობების არაფერი დაიჯერება: კიდეც რომ გადასწყვიტონ განიარაღება, ისინი საიდუმლოთ მაინც განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმეს.

განიარაღებას მხარს უჭერს საბჭოთა კავშირი. ერთად ერთი ნამდვილი ამსრულებელი განიარაღების არის საბჭოთა კავშირი. და რას შესძლებენ სხვა სახელმწიფოები თუ ჟენევ-ს კრებაზე საბჭოთა კავშირმა— ამ მთელ დედა-მიწის პირზე უდიდესმა სახელმწიფომ არ მიიღო მონაწილეობა? რასაკვირველია ვერაფერს და კრების მომწყობებმა კიდეც სთხოვეს ჩვენს მთავრობას, რომ განიარაღების კრებაზე საბჭოთა კავშირმა მიიღოს მონაწილეობა. ჩვენს ხალხს ისე არაფერი არ აინტერესებს, როგორც მშვიდობიანობა, განიარაღება და დიდის სიამოვნებით გაგზავნიხ ჩვენი მთავრობა კრებაზე წარმომადგენლებს. მხოლოდ ერთი დაბრკოლებაა, რომელსაც ჩვენ ვერას გზით გვერდს ვერ აუხვევთ. ჩვენი მთავრობა არ გაგზავნის წარმომადგენლებს შვეიცარიაში, რადგან შვეიცარიაში ამას წინათ მოჰკლეს ამხ. **ვოროვსკი**. ამხ. ვოროვსკი მოჰკლეს ვერაგულათ და ამ მკვლელობაში შვეიცარიის მთავრობამ დამნაშავედ არ სცნო თავი: ამას გარდა ვოროვსკის მკვლელები გაამართლა. ეს იმას ნიშნავს, რომ მკვლელებს მთავრობა თანაუგრძნობს.

ამის გამო ჩვენ ბოიკოტი გვაქვს გამოცხადებული შვეიცარიისათვის და იქ ფეხს არ დავადგამთ. გაწყვეტილი გვაქვს შვეიცარიასთან კავშირი. ჩვენმა მთავრობამ მოითხოვა, რომ განიარაღების შესახებ კრება არ დაენიშნათ შვეიცარიაში. არ დაგვეთანხმენ. შემდეგ საფრანგეთმა მოინდომა შვეიცარიის საქმის მოწესრიგება ჩვენთან. შვეიცარიის მთავრობას სინანული მაინც გამოეთქვა იმ ვერაგული მკვლელობის შესახებ, რომელიც მათ სახელმწიფოში მოახდინეს. მაგრამ არც ეს ისურვა შვეიცარიის მთავრობამ. ასე რომ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები შვეიცარიაში არ წავიდენ და განიარაღების საქმეც შესაფერისად ვერ გადასწყდება.

როგორც უკანასკნელმა ცნობებმა გვაუწყა, განიარაღების კონფერენცია დროებით გადაიდება. ვინ იცის, მართლა იქნება იგი ოდესმე მოწვეული?

რა სიმდიდრე ჰქონდა ეკლესიებს ოქტომბრის რევოლუციამდე

როგორც საბჭოთა საქართველოში, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიაც, ეკლესია სრულიად გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ეკლესიის და სამღვდელოების რწმენა ეხლა ადამიანას პირადი საქმეა და მის სურვილზეა დამოკიდებული. ყოველ მოქალაქეს შეუძლია იწამოს იგი, შეუძლია არა. წინად კი, მეფე ნიკოლოზის დროს, ასე არ იყო. გწამდა თუ არა ეკლესია, ამას არავინ კითხულობდა. ეკლესია და სამღვდელოება სავალდებულო იყო ყველასათვის, როგორც მორწმუნე ხალხისთვის, ისე ურწმუნოთათვის. ადამიანს, როგორც უნდა სჯავრებოდა ღვდელი და საყდარი, ის მაინც ვერ ასცდებოდა მას, რადგან თვით მთავრობა, სახელმწიფო ვალდებულად ხდიდა ბავშვის განათლება, ქორწინება, დასაფლავება და სხვა წესი უსათუოდ ღვდლის და ეკლესიის ლოცვა-კურთხევით მოეხდინა. ეხლა კი სამღვდელოებას, ეკლესიას არავითარი უფლება არა აქვს ჩაერიოს ძალად ადამიანის პირად საქმეში და აღარც სახელმწიფო ეხმარება ეკლესიას მის საქმეებში.

ჩვენი გლეხობის შეგნებულ ნაწილს აღარ სწამს ღვდელი და საყდარი, სრულიად ჩამოშორდა მათ, ჩამორჩენილ და მოხუც გლეხობას კი დღესაც სწამს ეკლესია.

ახალგაზრდობას არ უნდა შესვლა ეკლესიაში და ღვდლით ქორწინება. მოხუცებულებს ეჯავრებათ ახალგაზრდების ასეთი საქციელი. სოფელში გამართულია ბრძოლა ძველი და ახალი ცხოვრებისა. ერთი მხრით ეკლესია, ღვდელი, ხატები და სანთლები, მეორე მხრივ ქოხ-სამკითხველოები, წიგნები, გაზეთები და ჟურნალები. ჩამორჩენილ გლეხობაში ჯერ კიდევ დარჩენილია ბევრი ცრუ ადათი და ჩვეულება: მათ სწამთ საყდარი, სჯერათ ღვდლის სიტყვები, ვერ შერიგებიან ქორწინებას და ნათლობას უღვდლოთ. მაგრამ გაივლის დრო და ცრუ-მორწმუნოება მათშიც სრულიად მოისპობა. ჯერ ეხლაც ეკლესიას აღარ აქვს ის მნიშვნელობა, როგორიც მას ჰქონდა წინად. ნიკოლოზის დროს ეკლესია იყო ძლიერი და მდიდარი ორგანიზაცია. მას ჰქონდა საკუთარი სიმდიდრე, აუარებელი ქონება და დოვლათი.

ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲛᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ?

ეკლესიები და მონასტრები ემსახურებოდენ ნიკოლოზის მთავრობას, თავადებს, მემამულეებს, ამისითვის მდიდრები, თავადები და თვით მთავრობა აძლევდა მათ საჩუქრად აუარებელ ფულს.

სრულიად უსასყიდლოდ იღებდენ გლეხობისგან საუკეთესო მამულებს და უფასოდ ამუშავებდნენ ღარიბ გლეხობას, მათგანვე აღებულ მიწაზე. საეკლესიო მამულში მუშაობაზე უარის თქმა ეკლესიის და ღმერთის ღალატად იყო გამოცხადებული. საწყალ გლეხებსაც სჯეროდათ ეს და იძულებულნი იყვენ ემუშავნათ მათ სასარგებლოდ. მონასტრები აწარმოებდნენ აგრეთვე მსხვილ ვაჭრობას. მათ ჰქონდათ გახსნილი საკუთარი სავაჭროები. იყო ისეთი მონასტრები, რომელთაც ჰქონდათ საკუთრებად ათასი დესეტინობით საუკეთესო სახნავი მიწები.

ნიკოლოზის მთავრობაც ხელს უწყობდა ეკლესიების და მონასტრების გამდიდრებას. 1906 წელში ნიკოლოზმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით სახაზინო მიწებიდან ნაწილი მიეცა უსასყიდლოდ ეკლესიებს. საეკლესიო მიწები განთავისუფლებული იყო ყოველგვარ გადასახადისგან. ამავე კანონით არ შეიძლებოდა საეკლესიო მიწები გადასულიყო გლეხების ან სხვა ვისიმეს ხელში.

დიდი შემოსავალი ჰქონდა ეკლესიებს აგრეთვე წირვა-ლოცვიდან, ნათლობიდან, ჯვარის წერიდან, სანთლების, სასაფლაოს გაყიდვიდან და სხვა. ერთი სიტყვით მრავალი იყო ის წყაროები და ცოდვიანი გზები, რომლითაც ეკლესიები იძენდენ მამულებს, ფულს და სხვა სიმდიდრეს.

ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ?

ის მოგება, რომელსაც ღებულობდენ ეკლესია-მონასტრები—ვაჭრობიდან და მამულებიდან—იხარჯებოდა მიტროპოლიტების, ეპისკოპოსების და დიდ სამღვდელო პირების ჯამაგირებში და ფუფუნებით ცხოვრებაში. მიტროპოლიტი ღებულობდა ჯამაგირს ოვეში არა ნაკლებ ორას-სამასი თუმანისა. ასეთივე დიდი ჯამაგირები ჰქონდათ ეპისკოპოსებს და სხვებს. როდესაც გლეხებს და მუშებს უქადაგებდენ „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“, ამავე დროს თვითონ სიმდიდრეში და ფუფუნებაში პოულობდენ თავიანთ სულს. მათ სუფრაზე გამოუ-

ლეველი იყო კარგი საქმელი და სასმელი, მათ ჰყავდათ მრავალი მსახური და საყვარელი ქალები. აბრეშუმით და ფარჩით იმოსებოდენ. მეფისგან ღებულობდენ ბრილიანტის და ოქროს ჯვრებს საჩუქრად და ამ რიგად ლხინში და განცხრომაში ატარებდენ თავიანთ სიცოცხლეს.

ეკლესია მეფისა და მდიდარი ხალხის მოკავშირე იყო

ეკლესია და სამღვდელოება იყო ერთი ძლიერი დამხმარე ძალა მეფისა და მდიდარი ხალხისა. იგი აყუჩებდა მშრომელი ხალხის აღელვებას და ამბოხებას მეფის წინააღმდეგ. სამღვდელოება უქადაგებდა მუშებს და გლეხებს მოთმინებას და სამაგიეროდ ჰპირდებოდა ზეციურ ბედნიერებას.

— მოითმინე და ილოცე, ნუ შესჩივლებ ღმერთს შენს სიღარიბეს და გაჭირვებას, არამედ ეკადე მოთმინებით და ლოცვით მიაღწიო ზეციურ კეთილდღეობასო. აი როგორი სიტყვებით აყუჩებდენ ისინი მშრომელი ხალხის გონებას, ჰქმნიდენ როგორც თავიანთ, ისე მეფის და მდიდრების ბედნიერებას.

გარდა ამისა, თვით ეკლესია და სამღვდელოება, როგორც ზევითაც ვთქვით, ძალიან მდიდარი იყო. სამღვდელოების, ვაჭრების და მემამულეების ინტერესები ერთი და იგივე იყო. ამისათვის სამღვდელოება და ბურჟუაზია ერთი გზით მიდიოდა და ერთი-მეორეს ეხმარებოდა.

ეკლესია და სამღვდელოება ვერ შეურიგდა მუშების და გლეხების თავისუფლებას

1917 წელს რუსეთში, როდესაც მშრომელმა ხალხმა მოსპო თვითმპყრობელობა და თვითონ აიღო ძალაუფლება ხელში, სამღვდელოება ბურჟუაზიასთან ერთად მშრომელი ხალხის და რევოლუციის მოწინააღმდეგე ბანაკში დარჩა და იქიდან დაიწყო გაშმაგებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლუციამ მეფე ჩამოაგდო და ეკლესიას აღარავინ ჰყავდა მფარველი.

სამღვდელოებას არ უნდოდა დამორჩილებოდა მშრომელი ხალხის ძალა-უფლებას, არ სურდა გამოსთხოვებოდა თავის სიმდიდრეს და დაიწყო ბრძოლა.

ისინი ასეთი სიტყვებით მიმართავდენ მშრომელთ: გონს მოდით, ხალხო, შეაჩერეთ სისხლის ღვრა, ყველაფერი ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ეს არის საქმე ბოროტი და ცოდვიანი.

რევოლუცია, რომელმაც მოსპო მეფის თვითმპყრობელობა და მშრომელი ხალხი გაანთავისუფლა მონობისაგან, ეს სამღვდელოებისათვის იყო ბოროტი და ცოდვიანი საქმე.

მათ სცადეს კიდეც გამოსვლების მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მშრომელმა ხალხმა დაიცვა თავისი ხელისუფლება და სამუდამოდ დაამარცხა ისინი.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ.

საბჭოთა ხელისუფლების ერთი პირველი დადგენილებათაგანი იყო, რათა თაკადების, მემამულეების, მონასტრების და ეკლესიის მიწები გადასცემოდა გლეხობას.

საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ყოველ მოქალაქეს, თავისი სურვილის მიხედვით, შეუძლია აირჩიოს რომელი სარწმუნოებაც უნდა, ან და არც ერთი არ იწამოს. ის კანონები, რომლებიც ზღუდავდა ადამიანის თავისუფლებას სარწმუნოების მხრივ, გაუქმებული იქმნა.

სამღვდელოებას შეუძლია შეასრულოს თავის საეკლესიო წესები, მხოლოდ არ უნდა შეეხოს ადამიანის პირად უფლებას და საბჭოთა ხელისუფლებას. სახელმწიფო არავითარ დახმარებას არ აძლევს ეკლესიას. გაუქმებულია სარწმუნოებრივი ფიცის მიცემა. სასწავლებელიც გამოყოფილია ეკლესიისაგან.

მეფის დროს სამღვდელოებას მინდობილი ჰქონდა ახალგაზრდობის აღზრდა ისე, როგორც სასურველი იყო მეფის და ბურჟუაზიისათვის. ეხლა კი აკრძალულია სრულიად სამღვთო საგნების სწავლება სასწავლებლებში. ეკლესიის ყოველგვარი სიმდიდრე და ქონება ხალხის სიმდიდრეთ არის გამოცხადებული, გარდა საეკლესიო შენობებისა და იმ საეკლესიო საგნებისა, რომლებიც საეკლესიო წესებისათვის არის საჭირო.

სამღვდელოება ყოველთვის გაიძახოდა, რომ ეკლესიის შემოსავალს ქვრივ-ობლებს და უპატრონო ბავშებს ვაძლევთო, მაგრამ გამორკვეულია, რომ ამ საქველმოქმედო საქმეზე სამღვდელოება არაფერს ხარჯავდა.

საბჭოთა ხელისუფლებას არ სჭირდება და არც უნდა ეკლესიის დახმარება, იგი თვითონ უეკლესიოდაც კარგათ ატარებს მუშების და ღარიბ გლეხების უფასო მკურნალობას, საექიმო დახმარებას, აწყობს აუარებელ ბავშთა სახლებს და სხვა.

ამ რიგად, საბჭოთა მთავრობის დროს სამღვდელოებამ დაკარგა ყველა ის სიმდიდრე, რომელიც მას ჰქონდა შეძენილი მშრომელი ხალხის მოტყუებით.

ეკლესიამ და სამღვდელოებამ დაკარგა ნდობა ხალხში. მშრომელი ხალხი თავისუფლდება ცრუმორწმუნოებისაგან. სწავლა და განათლება საბოლოოდ გაანთავისუფლებს ადამიანის გონებას სარწმუნოებრივ ჭმეცრებისაგან.





ე. კარბელაშვილი

ჩხალგაზდოგის სასოფლო-სამეურნეო წრეები

ჩვენი სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილია, ამ ჩამორჩენილობის მიზეზია ჩვენი უცოდინარობა. მეტი მოსავალი, უკეთესი საქონელი, ადამიანური ცხოვრება სხვა ქვეყნებში იმიტომ კი არ აქვთ, რომ იქაური მამული ან ჰავა სჯობდეს ჩვენსას. არა.

მათი წარმატების მიზეზი არის ცოდნა

მამა პაპური მუშაობა აღარ ვარგობს. საჭიროა ცოდნა, მაგრამ როგორ და საიდან მივიღოთ ეს ცოდნა?

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად სახელმწიფოს დანიშნული ჰყავს საგანგებო კაცები, **აგრონომები**, რომლებიც ევალებათ სოფლის ხალხისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, მაგრამ აგრონომების რიცხვი ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტაა.

შარშან საქართველოში სოფლის მეურნეობაში მომუშავე აგრონომების რიცხვი უდრიდა 67 კაცს. საქართველოსათვის ეს ძალიან ცოტაა. თვითეულ აგრონომზე მოდიოდა შარშან 32.700 სული სოფლის მცხოვრები.

განათლებულ ქვეყნებში აგრონომები თავის მუშაობაში ემყარებიან თვით ხალხის დახმარებაზე.

სოფლის მჭრნელები, სოფლის მუშები იქ შეკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო წრეებში. აგრონომს ამ წრეებთან აქვს საქმე. აგრონომის ნალაპარაკევს, აგრონომის რჩევას ადგილობრივ ანხორციელებენ ამ სასოფლო-სამეურნეო წრეების საშუალებით.

სასოფლო-სამეურნეო წრეებში ყველა არის ჩაბმული—დიდი, პატარა, ქალი და კაცი. ყველას ცალკ-ცალკე წრე აქვს დაარსებული. ხოლო მუშაობა სწარმოებს ერთის გეგმით და მიმართულებით.

განსაკუთრებით საინტერესოა სოფლის ახალგაზრდობის მუშაობა სასოფლო სამეურნეო წრეებში.

რა არის ახალგაზდობის სასოფლო-სამეურნეო წრე?

ახალგაზდობის სასოფლო-სამეურნეო წრის მიზანია—ცოდნა. ამ მიზნით წრე მართავს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო შეჯიბრებას, თავის წევრთა ნაწარმოების გამოფენას, ლექციებს, საუბრებს სოფლის მეურნეობის შესახებ და სხვა. წრის წევრობა შეუძლიანთ სოფლის ახალგაზრდებს არა ნაკლებ 14 წლისა, რომლებიც ჯერ კიდევ თავის საკუთარ მეურნეობას არ აწარმოებენ.

წრის საქმიანობას განაგებს გამგეობა, რომელსაც ირჩევენ თვით წევრები. გამგეობა შესდგება 4 კაცისაგან—თავმჯდომარე, მისი ორი ამხანაგი და მდივანი.

გამგეობას ევალება წრის მუშაობაზე ზრუნვა—წევრთათვის ცნობის მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო შეჯიბრება, გამოფენების ექსკურსიების და სხვათა მოწყობა, აწარმოებს მიწერ-მოწერას სხვა და სხვა დაწესებულებასთან და სხვა.

თვით წრე დაყოფილია პატარ-პატარა ჯგუფებად, იმის დაგვარად თუ რა საკითხების შესახებ მუშაობენ, მაგალითად, არის ჯგუფები—მებოსტნეებისა, მებაღეებისა, მეფუტკრეებისა, მექათმეებისა, სიმინდის, პურის, თამბაქოს ან სხვათა მთესველთა და სხვა.

ასეთი ჯგუფი ჩვეულებრივ შესდგება არა ნაკლებ ხუთი კაცისაგან. თვითეულ ჯგუფს ჰყავს წარმომადგენელი, რომლის საშუალებით ჯგუფი საქმიანობს წრის გამგეობასთან.

წრის წევრი მუშაობს იმ საკითხზე, რომელიც მას განსაკუთრებით აინტერესებს. ოღონდ ეს საკითხი უნდა შედიოდეს იმ სიაში, რომელსაც იძლევა წრის ხელმძღვანელი. სხვაფრივ არ შეიძლება—მაშინ შეჯიბრება ვეღარ მოეწყობოდა. ერთი და იმავე დროს წევრს შეუძლია იყოს არა უმეტეს სამ სპეციალურ ჯგუფში, ესე იგი, ერთ და იმავე დროს სამ საკითხზე მეტის აღება სამუშაოდ მას არ შეუძლია. მეტს ვერ მოერევა.

ყოველ აღძრულ საკითხზე წევრმა უნდა აწარმოვოს დაწვრილებითი დღიური, სადაც ჩაიწერება როგორ მიმდინარეობდა მუშაობა და შემდეგ ყველა ეს ნაწარმოები უნდა წარუდგინოს წრის გამოფენაზე საჭირო მასალით, თუ როგორ და რა ხარჯით მოიყვანა ესა თუ ის ნაწარმოები, უკლებლივ უნდა დაესწროს წრის ყველა კრებებს, ლექციებს, ექსკურსიებს და სხვა, აასრულოს წრის ინსტრუქციები, საზოგადო კრების დადგენილებანი და სხვა.

ის წევრი, რომელიც არ აასრულებს წრის წესდებას, ინსტრუქციებს, საზოგადო კრების დადგენილებებს, ან მუშაობაზე ხელს იღებს შეუწყნარებელ მიზეზების გამო, თავისთავად გაირიცხება წრიდან.

ასეთია ამ წრეების წესდება.

ახალგაზდობის სასოფლო-სამეურნეო წრეები დაიწყო ამერიკაში, საიდანაც მერე მთელ ქვეყანას მოედო.

სასოფლო სამეურნეო წრის მუშაობა

წრის მუშაობა ზამთრიდანვე იწყება. ამა თუ იმ წლისთვის განზრახულ საკითხების სია იბეჭდება გაზეთებში და სპეციალურ ფურცლებსა და ჟურნალებში. წრე, ადგილობრივ ინტერესების მიხედვით, იორჩევს მისთვის განსაკუთრებით საყურადღებო საკითხებს. თუ სიაში არ არის საკითხი, რომელიც ადგილობრივ წრისათვის ძალიან საინტერესოა, ხელმძღვანელის თანხმობით, წრეს შეუძლია იკისროს მისი გამორკვევა ან წარმოება.

წრე როდესაც აირჩევს თვისთვის საინტერესო საკითხებს, მერე ამ საკითხებს წევრები ინაწილებენ თავიანთ შორის, იმის მახედვით, ვის რა უფრო ეინტერესება ან ეხერხება. მაგალითად, სიმინდის მოყვანა, ღორის გამოზრდა, ქათმის მოშენება, კარტოფილის მოყვანა და სხვა. ერთ და იმავე საკითხებზე მომუშავენი, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, შეადგენენ ჯგუფს, მაგალითად: სიმინდის მომყვანთა ჯგუფი, მელორეების ჯგუფი, მექათმეების ჯგუფი და სხვა.

წრეს ჩვეულებრივ ჰყავს ხელმძღვანელი, სათანადო ცოდნით აღჭურვილი, აგრონომი, მასწავლებელი, ან ინსტრუქტორი.

ხელმძღვანელი აწყობს წრის წევრებთან საუბრებს ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მაგალითად: სიმინდის მოყვანის, ქათმის ან ღორის მოვლა-მოშენების, კარტოფილის, ჭარხლის ან პურის მოყანის შესახებ და სხვა, ურიგებს წევრებს საჭირო წიგნაკებს, დარიგებებს, ინსტრუქციებს, წიგნებს და სხვა. ხამთარშივე იჭერენ თადარიგს გაზაფხულის სამუშაოსათვის საჭირო მასალის—თესლი, სასუქი, იარაღი, საქონლის მოსამარაგებლად ან შესაძენად.

შემდეგ ადგენენ აღრიცხვის ბლანკებს. შეჯიბრების მიზანი მარტო მოყვანა კი არ არის, არამედ ამ მოყვანის გაუმჯობესება და გაიაფება. ამისათვის კი საჭიროა აღრიცხვა მუშაობის ყველა ნაწილისა. მაგალითად: ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ამერიკაში დესეტინაზე მოიყვანა 960 ფუთი სიმინდი, ფუთი დაუჯდა 55 კაპეიკი; მეორემ მოიყვანა 504 ფუთი სიმინდი და ფუთი დაუჯდა 10 კაპეიკი, მესამემ მოიყვანა 617 ფუთი სიმინდი და ფუთი დაუჯდა 23 კაპეიკი.

აღრიცხვის ბარათში წრის წევრმა უნდა ჩაწეროს როგორ იქმნა მაგალითად შემხადებული დასათესად მიწა, გაპატიებული იყო თუ არა, როდის და როგორ დაითესა, სადაური და როგორი თესლი იყო, რამდენი დაითესა, როდის აღმოცენდა, როდის გაითოხნა, რამდენჯერ, როდის დაიყვავილა, როდის შემოვიდა, როდის მოიჭრა, როდის გაილეწა, რამდენი მოვიდა, რა ღირსებისა, რამდენი შრომა გასწია, კაცით, ხარით თუ ცხენით და სხვა ამისთანა.

გაზაფხულდება თუ არა, წრის წევრები იწყებენ მუშაობას, ან საერთო მიწაზე სადმე (მაგალითად, თემის ან სასკოლო მიწაზე) ან თავიანთ დედ-მამის მიწაზე.

ხაფხულის განმავლობაში აგრონომი, ინსტრუქტორი ან ხელმძღვანელი ერთი-ორჯერ მაინც დახედავენ თვითეულ წევრის ნაკვეთს; აგრონომთან ერ-

თად დადიან წრის წევრებიც მინდორში, ან ბოსტანში, ან ეზოში. აქვე იმართება საუბარი, სადაც ყველა იღებს მონაწილეობას და მსჯელობენ ნაკვეთის ან სამუშაოს ღირსება-ნაკლულოვანებაზე. არკვევენ გაუგებარ საკითხებს, მოყვანის ამა თუ იმ წესის უპირატესობას და სხვა.

თუ ხელმძღვანელის გაკვეთილი ვერ მოხერხდა, ადგილობრივი აგრონომიული ორგანიზაცია თავის დროზე უკვეთავს ყველა წრეებს დარიგებას ამა თუ იმ სამუშაოს ასრულების შესახებ.

წრის წევრები უნდა ეჯიბრებოდენ ერთი-მეორეს

ამ რიგად მთელი ზაფხულის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წრის წევრი მუდმივ ხელმძღვანელობის და ხელმძღვანელობის ქვეშ არის. ყველა ცდილობს რაც შეიძლება უკეთესად შეასრულოს თავისი სამუშაო, რადგან იცის, რომ მისი ამხანაგიც მზეობს და შეიძლება აჯობოს. ამის დეკნაში, წევრი ძალა უნებურად უნდა დაუფიქრდეს მუშაობის უკეთეს წარმოებას, იკითხოს რაც მისთვის გაუგებარია და ამასობაში დაწვრილებით გაეცნოს ამა თუ იმ მუშაობის წარმოების გაუმჯობესებულ წესებს.

ზაფხულობით წრის წევრები მართავენ ექსკურსიებს, ესეიგი ხელმძღვანელის მეთაურობით ახალგაზრდობა დადის და ეცნობა საცდელ სასოფლო-სამეურნეო მინდვრების მუშაობას და ადგილობრივ გლეხების თკალსაჩინო მეურნეობას.

ახალგაზრდობის სასოფლო-სამეურნეო წრეებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აყვავების და აღორძინების საქმეში. ამიტომ ჩვენ ყველა დიდიდან-პატარამდე უნდა ვეხმარებოდეთ და ისე უნდა ვუფრთხილდებოდეთ, როგორც თვალის ჩინს. საქართველოში უკვე არსებობს თითო-ოროლა სასოფლო-სამეურნეო წრე. ეს არ კმარა. ასეთი წრეებით უნდა დავქსელოთ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე.



კართოფილის მოყვანა

ნიადაგის გაპოხიერება კართოფილისათვის

კართოფილს ძლიერ უყვარს გაპოხიერებული ნიადაგი და რადგან ჩვენში ხელოვნური სასუქი არ მოიპოვება, ამიტომ უნდა გავჩერდეთ საქონლის სასუქზე.

საქონლის ნაკელი უნდა ჩაიხნას შემოდგომითვე, რომ მოასწროს გახრწნა გაზაფხულისათის. გაზაფხულზე მხოლოდ გადამწვარ სასუქის შეტანა შეიძლება.

სასუქი დესეტინაზე სჭირდება 1000 ფუთიდან 2400 ფუთამდე. გარდა საქონლის სასუქისა, კარგია ნიადაგში შეტანა აგრეთვე ნატბევი ადგილების ლამისა, შინ დამზადებული კომპოსტისი, (გადამპალი ნაგავ-ნუგავი) და კირისა.

ნიადაგის დამუშავება კართოფილისათვის

მხოლოდ კარგად გაფხვიერებულ ნიადაგში, რომელსაც თავისუფლად უვლის ჰაერი, უნვითარდება კართოფილს გორგალები. რამდენადაც ნიადაგი ღრმადაა გაფხვიერებული, იმდენად მოსავალი მეტი იცის კართოფილმა.

კართოფილისათვის ეკვს ვერშოკზე მოხვნა საკმარისია. თუ ამ სიღრმეზე მოხვნა ვერ შესძელით, მაშინ მიწის შემოყრით შეავსებთ ამ ნაკლს.

კართოფილისათვის ნიადაგი უნდა დამზადდეს შემოდგომიდანვე და ამ დროსვე უნდა ჩაიხნას სასუქიც. დადგება თუ არა გაზაფხული, საჭიროა კიდევ ერთხელ ზერელეთ მაინც (3-3 ვერშოკზე) მოხვნა.

ჩვენში მიწის მოხვნა ძილიან ადრე უნდა მოხდეს: თუ შემოდგომაზე ვერ მოესწრო, მაშინ გაზაფხულზე მძიმე ძარღვიან ნიადაგისათვის საჭიროა ორჯერ მოხვნა და სასუქი პირველ მოხვნის დროს უნდა ჩაიხნას.

კართოფილის გამრავლება

კართოფილის გამრავლება შეიძლება თესლით—გორგალების დარგვით და ღეროების გადაწვენით. შემოღებულია უფრო გორგალებით გამრავლება.

კართოფილის თესვის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე გორგალებს. სათესლე გორგალები უნდა იყოს საღი და სრულად შემოსული. სათესლეთ ყოველთვის საშუალო ზომის გორგალა სჯობია.

სათესლე კართოფილი შემოდგომითვე უნდა გადაარჩიოთ.

დათესვის წინ კარგია სათესლე კართოფილის მშრალ, თბილ და სინათლიან ადგილას დაყრა ხუთი-ათი დღით. აქ კართოფილის კვირტები გორგალებზე იწყებენ გაღვივებას. კვირტებ-გაღვივებულ გორგალების დათესვა ხელს უწყობს კართოფილის ადრე ამოსვლას და მოსავალსაც კარგს იძლევა.

გაღვიძებულ კვირტებს არ უნდა დააცალოთ დიდათ გაზრდა, საკმაოისია ნახევარ გოჯამდე.

მინდვრად თესვის დროს ეს წესი არ არის მიღებული. ზოგან თესლის სიცოტავის გამო შემოღებულია გორგალების დაჭრა და ისე დათესვა. ამ შემთხვევაში უმჯობესია გორგალი სიგრძეზე გაიჭრას, ვიდრე სიგანეზე. კარგია გაჭრილი კართოფილი დათესვის წინ ნაცარში, ნახშირის მტვერში ან კირში ამოავლოთ რომ მალე არ გამოშრეს. როცა გორგალს სჭრით ორ ნაჭერზე მეტად, მაშინ ისე უნდა დაიჭრას, რომ თითო ნაჭერზე ორ-ორი კვირტი მაინც იყოს.

მაგრამ ამგვარი თესლი ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე მთლიანი გორგალები. გაჭრილი კართოფილი ადვილად ლპება, მეტადრე ნესტიან ადგილებში.

კართოფილის თესვა

მინდვრათ კართოფილი უმჯობესია დაითესოს გუთნით: გუთნით გავლებულ კვალში განსაზღვრულ მანძილზე იყრება კართოფილის გორგალები, რომლებსაც გუთნის მეორეთ დაბრუნების დროს ეყრება მიწა.



მიწა შემოყრილი კარტოფილის ნათესების რიგები

გუთნით დათესვის დროს კართოფილი ითესება ყოველ მესამე კვალში ანუ კვალის გამოშვებით. კვალში დათესვის დროს კართოფილი უმჯობესია დასდოთ კვალის დაქანებაზე, ვიდრე ძირზე, რადგან კვალის ძირი ყოველთვის მაგარია და კართოფილს იქ განვითარება გაუძნელდება.

დათესვის წესზეა ბევრად დამოკიდებული მოსავალი.

რა მანძილზე უნდა დაითესოს კართოფილი

კართოფილის ნათესის სიხშირე და სითხელე დამოკიდებულია ჯიშზე და ნიადაგის სინოყიერეზე. ხშირღეროიანი ჯიში ნოყიერ ნიადაგში უფრო თხლად უნდა დათესოთ; თხელ ღეროიანი ჯიში კი მწირ მიწაში უნდა დაითესოს ხშირად, რადგან ამ შემთხვევაში თუ თხლად დათესეთ, მაშინ ძლიერ მცირე მოსავალი მოვა.

საერთოდ კი მიღებულია, ნოყიერ ნიადაგში რიგებ შუა ერთი არშინი, კართოფილს და კართოფილს შუა კი—12 ვერშოკი. ამ მანძილის შემცირება შეიძლება ჯიშის და ნიადაგის მიხედვით.

ადრეული ჯიშები ჯერ ახლო-ახლო ითესება, ვიდრე გვიანი ჯიშები ნათესის სიხშირე-სითხელეზე და თესლის ზომაზეა დამოკიდებული სათესლე მასალის რიოდენობაც. საშუალოდ სთესავენ დესეტინაზე 30—120 ფუთამდე. წვრილი კართოფილი სჭირდება 50-80 ფუთი დესეტინაზე და თუ სათესლე მასალა იჭრება, მაშინ მისი რაოდენობა ნახევრამდე მცირდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სიღრმეზე იფლება კართოფილი. მიღებულია ერთიდან—ოთხ ვერშოკის სიღრმე.

საჭიროა რომ დათესილ კართოფილის გორგალას ჰაერი საკმარისად უდგებოდეს, ამიტომ გორგალას გარშემო მიწა გაფხვიერებული უნდა იყოს. მძიმე და ნესტიან ნიადაგში კართოფილი უფრო თხლად უნდა ჩაითესოს, ვიდრე მშრალ და ფხვიერ ნიადაგში.

ნესტიან ჰავაში კართოფილი უნდა ითესებოდეს ზერელეთ, მშრალ ჰავაში კი ღრმად. კართოფილის ნათესის სისაღე დამოკიდებულია აგრეთვე დამუშავებაზე: თუ ზაფხულში მცენარეს მიწას ბლომათ აყრით, მაშინ უნდა დათესო ზერელეთ და თუ მიწას ცოტას აყრით, მაშინ გარშემო, უნდა დაითესოს ღრმად.

როდის უნდა დაითესოს კართოფილი

კართოფილის თესვის დრო დამოკიდებულია ჰავაზე. გრილ და ნესტიან ადგილებში კართოფილი ითესება მოგვიანებით, მშრალ და ფიცხ ადგილებში ადრე.

ერთ და იმავე ჰავაში თესვის დრო დამოკიდებულია ნიადაგის და ადგილის მდებარეობაზე; ქვიშნარ ნიადაგში უფრო ადრე უნდა დაითესოს ვიდრე თიხნარში. თესვის დრო აგრეთვე დამოკიდებულია კართოფილის ჯიშზე. საერთოთ, ბარში კართოფილი ითესება უფრო ადრე, ვიდრე მთაში. თესვა იწყება მარტიდან—მაისამდე.

კართოფილის ნათესების მოვლა ზაფხულში

ზაფხულზე კართოფილის ნათესების მოვლა ადვილია.

ზაფხულში ნიადაგი უნდა გააფხვიეროთ და სარეველა ბალახები მოსპოთ ნათესებში.


გარდა ამისა, კარგია დათესვის შემდეგ მაშინათვე სატკეპნელას გატარება ნარგავზე. ნიადაგის დატკეპნა უფრო მჭიდროთ აახლოებს კართოფილის გორგალს ნიადაგის ნაწილებთან მალე ღივდება და ხელს უწყობს სინესტის აორთქლებას.

პირველი თოხვნა მაშინ უნდა, როცა კართოფილი ოდნავ ამოჰყოფს თავს ნიადაგიდან. თუ ამ დროს კართოფილის ნათესში სარეველა ბალახი არ არის შერეული, პირველი თოხის მაგივრად, ნიადაგის პირის გაფხვიერება შეიძლება ფოცხითაც.

შემდეგ, თოხნა დასჭირდება თუ ბალახი ამოვიდა ან მიწა გახმა.

კართოფილის გარშემო მიწის შემოყრა ხელს უწყობს კართოფილის ბუჩქის განვითარებას და გორგალების გამოვლებას.

ნესტიან და ცივ ჰავაში მიწის შემოყრა ღრმად უნდა, მშრალ და ცხელ ადგილებში კი თხლად.



ადრეული ვარდის ფერი კართოფილი


მძიმე და ძარღვიან მიწაში მიწის შემოყრა უფრო ღრმად უნდა, ვიდრე მსუბუქ და ფხვიერ ნიადაგში. ძლიერ ფიცხ ადგილებში მიწის შემოყრა არც კია საჭირო, იმიტომ რომ ასეთ ადგილებში კართოფილი ღრმად ითესება და საკმარისია მხოლოდ გათოხვნა.

პირველი მიწის შემოყრა მაშინ უნდა, როცა კართოფილი 3-4 ვერშოკზე გაიზრდება. ამაზე ადრე მიწის შემოყრა მავნებელია.

პირველი მიწის შემოყრა თხლად უნდა. კართოფილის ზრდის მიხედვით მიწას შემოაყრიან კიდევ ორჯერ-სამჯერ. მეორე და მესამე მიწის შემოყრა ორი-სამი კვირის შემდეგ უნდა.

ზოგან შემოღებულია კართოფილის ღეროების გათელვა. ღეროების გათელვა, კარგია გვიანი ჯიშებისათვის, როცა კართოფილი დაგვიანებით ღონიერ ღეროებს იყრის.

ზოგან მორწყვაც იციან კართოფილის ნათესებისა. მორწყვა კარგია მხოლოდ კართოფილის ზრდის დროს. როცა კართოფილი მწიფობაში შედის, მისი მორწყვა მავნებელია.



მეგობარი ექიმი

ძროხა მშობიაროგის დროს

ჩვენში მალე უნდა დადგეს ისეთი დრო, რომ არც ერთი გლეხის ოჯახი არ დარჩეს ისე, რომ ორი სამი კარგი მეწველი ძროხა მაინც არ ყავდეს. ეს არ არის უბრალო ნატვრა და ნურავინ იტყვის, რომ ეს შეუძლებელიაო.

გლეხის ოჯახში კარგი ძროხა ნამდვილი საუნჯეა. თუ ჩვენ არ ვცდილობთ ძროხის გამრავლებას ოჯახში, ამის მიზეზი ის არის, რომ ძროხისაგან იმ სარგებლობას ვერ ვღებულობთ, როგორიც უნდა მივიღოთ. ეს ძროხის ბრალი კი არ არის, პირიქით ჩვენი უცოდინარობის ბრალია; არ ვიცით ძროხის რიგიანათ მოვლა, არ ვაქცევთ საჭირო ყურადღებას. ძროხას მამა კაცი არც კი მიხედავს ხოლმე. დედა კაცზეა დამოკიდებული ძროხის მოვლა-პატრონობა.

რა თქმა უნდა, დედა-კაცმაც უნდა მოუაროს ძროხას, მაგრამ არც ვაჟკაცს უნდა ეთაკილებოდეს.

ძროხის მშობიარობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება: სითბო, სინათლე, სისუფთავე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ძროხამ კარგათაც რომ მოიმშობიაროს, იმ შემთხვევაშიაც სათუთი მოვლა ესაჭიროება კარგი კვებით და ყურადღებით.

ზოგი ძროხა მშობიარობის შემდეგ ავათ ხდება და მაშინვე თუ საქონლის ექიმს ან ფერშალს არ დაუძახეთ, შენი მტერია, შეიძლება ძროხა ხელიდან წაგვიციდეს და ოჯახი დაღუპოთ.

მშობიარობის შემდეგ ძროხას სხვადასხვა ავათმყოფობა ემართება: ზოგი ავადმყოფობა თავის-თავათ გაუვლის, ვერც კი შევნიშნავთ და ზოგი კი ისეთია, რომ თუ დროზე არ უშველეთ, იმსხვერპლებს.

არასოდეს არ უნდა მივმართოთ სოფლის ექიმბაშებს, მკითხავ დედაბრებს. მათ იციან დაიმედება, შელოცვილ საკვებს მისცემენ ავათმყოფ ძროხას, რჩაზე შეაბამენ მჩვარში გახვეულ რამეს, ხელს წაუსვამენ ზურგზე, მისწევ-მოსწევენ და ვინ იცის, რას არ თვალთმაქცობენ. ეს ყველაფერი ფულის მახეა და პატრონის მოსატყუებელი საშვალება. ნამდვილათ კი მათ ძროხის აქიმობისა არა იციან-რა. მშობიარობის შემდეგ ხანდასხან ძროხას ემართება ძნელი ავათმყოფობა მაგალითად:


ბუდე არ გამოვარდება გარეთ

ხბოს დაბადების შემდეგ, ძროხამ უნდა დაბადოს ბუდე, რომელშიაც ხბო იყო გახვეული დაბადებამდის. ბუდე ტომარას წააგავს, სხვადასხვა სისქე აქვს. ცხენს ის თითქმის კვიცთან ერთად გამოჰყვება ხოლმე და ძროხა გამოაგდებს ხბოს დაბადებიდან 5—8 საათის შემდეგ.

ისეც მოხდება, რომ ხბოს ბუდე ერთ, ორს და ხან სამ დღეს არ გამოვარდება ხოლმე. ბუდე ჩერდება შიგნით, მხოლოდ ნაწლავებივით გადმოეკიდება უკანა ტანიდან და ჩამოკოძელებულია მანამდე.

ისეც მოხდება ხოლმე, რომ ბუდე სრულიად არ გამოჩნდება სადედედან.

გადმოკიდებულს პირველად ფერი აქვს გამჭვირვალე, შემდეგში ფერი ემღვრევა და თანდათან შავდება. რაც ხანი გავა, სუნი ემატება და მყრალდება. ეს უკვე იმის ნიშანია, რომ იწყებს ლპობას.



ხბოს მოგების შემდეგ ძროხას უკანა ტანიდან გადმოვარდნილი აქვს ნაწლავი.

ასეთ შემთხვევაში რაგორ უნდა უშველოთ ძროხას

უპირველესად უნდა ვეცადოთ, რომ ბუდის გადმოკიდებული ნაწილი არ გაჭუჭყიანდეს. თუ ის მიწამდის სწვდება, უნდა ავიღოთ და ისე შევახვიოთ რომ მიწაზე აღარ დასთრევდეს.


ბუდის გარდმოვარდნილი ნაწილი არ უნდა შევაჭრათ. ხანდახან ფრთხილად უნდა გამოვწიოთ, ეგებ გამოყვეს ერთიანათ, მაგრამ ძალა კი არ უნდა დავატანოთ. ნელის გამოწევით თუ მოდის, თანდათანობით უნდა გამოვწიოთ, სანამ მთლად არ გამოვა ბუდე. თუ მაგარი გამოსაწევია, თავი უნდა დავანებოთ. შეიძლება გარდმოვარდნილ ნაწილს რაიმე სიმძიმე დავკიდოთ, რომ თავის-თავათ დასწიოს.

ორი-სამი დღის განმავლობაში გადმოვარდნილ ბუდის ნაწილს თუ ძლიერ ცუდი სუნი არ ექნა და ძროხაც თუ კარგათ არის, შეიძლება საქონლის ექიმს არც კი დაუძახოთ. ორ დღეში ბუდე თავის თავად გადმოვარდება. მაგრამ თუ ძროხა ხბოს მოგების შემდეგ ცუდათ შეიქნა, დაღონებულია, საკვებს არ ღებულობს და მესამე დღეს თუ ბუდე არ გამოვიდა ტანიდან, აუცილებლათ უნდა მოიწვიოთ საქონლის ექიმი.

ცხენს თუ კვიცის მოგების დღეს არ გამოუვიდა ტანიდან ბუდე, მეორე დღეს უთუოთ ექიმს უნდა მიმართოთ.

საშვილოსნოს გამოვარდნა

საშვილოსნო გამოვარდება ტანიდან გარეთ, როცა ძროხა დაიწყებს ძლიერ ჭინტვას. ზურგს მაღლა ასწევს და იკუზება. ამ დროს სადედედან გამოჩნდება მრგვალი, რბილი სიმსივნე, ღია წითელი ფერის და თანდათან დიდდება. როცა საშვილოსნო ერთიანათ გადმოვარდება, ის წააგავს სქელ ტომარას, რომელიც სადედესთან თითქოს თავმოკრული იყო. საშვილისნოს გარედან ირგვლივ



ძროხას გადმოგდებული აქვს უკანა ტანიდან საშვილოსნო

აყრია მუქი მოწითალო მეჭეჭები.

გადმოვარდნილი საშვილოსნო არ უნდა გაუჭუჭყიანდეს ძროხას. თუ წევს ძროხა, საშვილოსნოს ქვეშ უნდა დავდოთ სუფთა და რბილი ჭინჭი. მეჭეჭები არამც და არამც არ უხდა მოაგლიჯოთ. უნდა ეცადოთ ფრთხილად ტანში სუფთა ხელით საშვილისნო თანდათანობით შეაკოცოთ. ამისათვის გამოცდილებაა საჭირო და სჯობს საქონლის ექიმს დაუძახოთ.

საშვილოსნო გადმოუვარდება ხოლმე ძროხას ხბოს მოგების შემდეგ. ამისათვისაა საჭირო ყურადღება, როცა ძროხა მშობიარობს. მოგების შემდეგ ძროხა უკანა ტანით მაღლა უნდა იდგეს და წინა ტანი დაშვებული ჰქონდეს. ზურგზე უნდა დავადოთ ცივ წყალში დასველებული ტილო. ავრეთვე მოუხდება ხბოს მოგების შემდეგ ერთი ჭიქა არაყის იმდენსავე წყალში გარეულის დალევინება. თუ ასე გავაკეთეთ, საშვილოსნო აღარ გადმოუვარდება გარეთ.

თუ ერთხელ გადმოუვარდა ძროხას საშვილოსნო, მას სხვა დროსაც გადმოუვარდება ხბოს მოგების შემდეგ.



კოოპერაცია

ნ. ალნიაშვილი

სასოფლო კოოპერაცია და გაზარი

ქალაქ ადგილებში უფრო გახშირებულია სამომხმარებლო კოოპერაცია. სამომხმარებლო კოოპერაცია ცდილობს თავი მოუყაროს ერთად მუშის ქონებრივ ბალას. ამ შეერთებულმა ძალამ უნდა დააკმაყოფილოს მუშის მთელი სამომხმარებელო მოთხოვნილებანი.

სამომხმარებელო კოოპერატივმა უნდა მიაწოდოს მუშას ბაზრის საშუალო ფასებში ყველა ის სამომხმარებლო საგნები, რომლებიც მუშას ყოველ დღე სჭირდება: პური, შაქარი, საპონი, მარილი, ფართალი და სხვა.

სამომხმარებლო კოოპერაცია ამგვარად აწყობს მუშათა მომარაგებას და ამიტომ ის უფრო სავაჭრო დაწესებულებაა.

სულ სხვაა სასოფლო კოოპერაცია. სასოფლო კოოპერაცია მარტო ვაჭრობით არ კმაყოფილდება, ის ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მრავალფეროვანია გლეხის მეურნეობა, რადგან გლეხის ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მუშის ცხოვრება. გლეხს ესაჭიროება არა მარტო სამომხმარებლო საგნების მომარაგება, არამედ თავის საწარმოო ძალის გონივრულად გამოყენება და თავისი ნაწარმოებისათვის ბაზრის მოპოვება. გლეხის მომარაგება კი მთლათ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აწარმოებს ის თავის ძალას და როგორ ასაღებს ნაწარმოებს.

ამიტომ სასოფლო კოოპერაცია უნდა ზრუნავდეს არა მარტო მიწის გონივრულად დამუშავებაზე და მის სარგებლიანად გამოყენებაზე, ის უნდა ზრუნავდეს აგრეთვე გლეხის სამუშაო ძალის და საწარმოო საქონლის გაუმჯობესებაზე, სამეურნეო ნაწარმოების გადამუშავებაზე, ნაწარმოების უკეთეს პირობებში გასაღებაზე, სათესლე მასალის გაუმჯობესებაზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საწამლელ მასალების შეძენაზე და სხვა. ხოლო ყველა ეს საგნები, რომელიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის წინწაწევას, მოიპოვება ბაზარზე. გლეხს მხოლოთ აქ შეუძლია მათი შეძენა.

იმავე დროს გლეხი ვერ შეიძენს ვერც ერთ ამ მისათვის საჭირო საგანს თუ თავისი ნაწარმოები არ გაიტანა ბაზარზე. ამგვარად გლეხის მეურნეობა მტკიცეთ დაკავშირებულია ამ ბაზართან.

გლეხის მეურნეობა კი იმდენად მოჰგებიანია, რამდენადაც ამ მეურნეობაში ფეხს იკიდებს გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები: ტრაქტორი, სალეწი, ნაღების მომხდელი, ღვინის საწურავი და სხვა რთული მანქანები.

მაგრამ ყველა ეს მანქანები იმდენად ძვირია და იმდენად იშვიათად სახმარებელია გლეხის მეურნეობაში, რომ ცალკე გლეხს მათი შეძენა არც შეუძლია და არც ხელსაყრელია.

ამიტომ ძალა უნებურათ მათი შეძენა და თვით ნაწარმოების დამუშავება ამ მანქანებით უნდა ხდებოდეს შეერთებულის ძალით. მაგალითად, სალეწი მანქანა, ტრაქტორი, ხორბლის საწმენდი, სამკელი და სხვა მანქანები იმდენად ძვირია, რომ ცალკე გლეხისათვის მათი შეძენა ძნელია და არც ყოველთვის ხელსაყრელია, რადგან ეს მანქანები მოკლე ხანს იხმარება.

ასეთი შეერთებული ძალის შექმნა სოფლის მეურნეობაში შეუძლია მხოლოდ სასოფლო კოოპერაციას.

მართლაც სასოფლო კოოპერაციის მიზანია შეაკავშიროს სოფლის მეურნეთა ძალები და ამ შეკავშირებული ძალით საშუალება მისცეს გლეხს უშუალოთ კავშირი დაიჭიროს ბაზართან.

სასოფლო კოოპერაციამ უნდა მიაწოდოს ბაზარს გლეხის ნაწარმოები, დაუმუშავებელი იქნება ეს, თუ დამუშავებული, და იქიდან შეაძენინოს გლეხს მისი მეურნეობის გაუმჯობესების ხელის შემწყობი მანქანა-იარაღები.

სასოფლო კოოპერაცია ეს ის შუამავალია გლეხის და ქალაქის მომხმარებლის შუა, რომელიც უნდა გამოვიდეს ბაზარზე და განდევნოს ყველა კერძო შუამავლები, რომლებიც აძვირებენ, როგორც გლეხის ნაწარმოებს ქალაქის მუშისათვის, ისე ქალაქის მუშის ნაწარმოებს გლეხისათვის.

ნ. თხინვალელი

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი უცხოეთში

დღეს კოოპერაცია ისე განვითარდა, რომ მარტო შუამავლობის გაწევით აღარ კმაყოფილდება. კოოპერაცია ცდილობს მიაწოდოს თავის წევრს მისი არსებობისათვის საჭირო საგნები და ხელი შეუწყოს მწარმოებელ გლეხს გაასაღოს მისი ნაწარმოები რაც შეიძლება უკეთეს ფასებში და იხსნას ჩარჩ-ვაჭრის კლანჭებისაგან. გარდა ამისა, კოოპერაცია ცდილობს თვითონ მოჰკიდოს ხელი სოფლის მეურნეობას.

ამ გზით კოოპერაცია ეხმარება სოფლის მეურნეს მისი მეურნეობის გაუმჯობესებაში, გაუმჯობესებულ წესებით და იარაღებით აწინაურებს სოფლის მეურნეობას და ჰქმნის ახალ კოოპერატიულად მოწყობილ მეურნეობას.

ამ ნიადაგზე დაიწყო აღმოცენება ევროპაში მერძევეთა, მეხილეთა, მებოსტნეთა და სხვა ამხანაგობებმა.

მაგრამ კოოპერაციას ისეთი ბუნება აქვს, რომ მისი მოქმედების განსაზღვრა შეუძლებელია. ყველაფერი, რასაც კი ადამიანის ხელი და შრომა მისწვდება, კოოპერაცია ცდილობს ხელში ჩაიგდოს.

ცხადია, ამ შემთხვევაში, მიწაც ვერ ასცდებოდა ამ ბედს და ხვნა-თესვის ამხანაგობების დაარსება დიდი ხანია დაიწყო კიდეც უცხოეთში.

მხვნელ-მთესველთა კოოპერატივის განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია მიწის ამხანაგურად იჯარით აღებასთან, ამასთან ხვნა-თესვის ამხაგობებს დღეს თითქმის ყველა სახელმწიფოს მიწა-წყალზე შეხვდება კაცი: ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, ბელგიაში, რუმინეთში, ბოლგარეთში, ავსტრალიაში და სხვაგან.

ინგლისში. მხვნელ-მთესველთა კოოპერატიული მოძრაობა ინგლისში დაიწყო დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის წინათ.

ინგლისი საერთოთ მსხვილ მიწათ-მფლობელობის ქვეყანაა და ხალხის უმრავლესობა მოკლებულია მიწას, იმავე დროს სახელმწიფოს მიწა-წყალი მემამულეების მეოხებით გადაქცეული იყო საძოვრებათ და ტყეებათ და ხალხი შემოტანილ პურით ირჩენდა თავს.

დაიბადა მოთხოვნილება, რომ სახელმწიფოს თავისი საკუთარი პური ჰქონოდა. ამისგამო ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა კანონი, რომლის ძალით ხვნა-თესვის მსურველს უფლება ეძლეოდა მიეღო სახელმწიფოსაგან სესხი მიწის შესაძენათ. ამასთან სესხის მიცემაში უპირატესობა ეძლეოდა კოოპერატიულათ შეკავშირებულ ჯგუფს. ასეთსავე უპირატესობას აძლევდა კოოპერატივს თვით მიწის მესაკუთრე, რადგან მას უხდება საქმის დაჭერა ძრა ცალ-ცალკე პატარა მოიჯარადრეებთან, არამედ დიდ ორგანიზაციასთან.

კოოპერატივებიც ამჯობინებდენ მიწის იჯარით აღებას, ვიდრე ყიდვას. 1910 წლის ინგლისში უკვე ას-სამოცდაერთი მოიჯარადრე ამხანაგობა ითვლებოდა. ეჭვი არ არის, რომ დღეს იქ გაცილებით მეტი უნდა ითვლებოდეს.

იჯარით აღებულ მიწას ან თვითეული ამხანაგი ცალკე ამუშავებს თვით ხვედრ ნაჭერს, ანდა საამხანაგოთ. მუშა-საქონელი და მანქანა-იარაღები საამხანაგოა, რომლის სარგებლობაში წევრი განსაზღვრულ ქირას იხდის, თუ ის მათ პირად სარგებლობისთვის ხმარობს.

ამხანაგობაში მოსავალიც ამხანაგურად საღდება და ეძლევა ის მხოლოდ და მხოლოდ კოოპერაციას.

ამ ხვნა-თესვის ამხანაგობებთან ერთად ინგლისში არსებობს აგრეთვე საგანგებო კოოპერატიული საზოგადოებანი, რომლების მიზანია ხელი შეუწყონ ხვნა-თესვის ამხანაგობათა განვითარებას.

საფრანგეთში. საფრანგეთში განვითარებულია მიწის დამმამუშავებელი

ამხანაგობები. მათი განვითარება იწყება მსოფლიო ომის შემდეგ და მის გავლენით განვითარდენ უფრო ომის გამო მიტოვებულ ადგილებში.

ამხანაგობების მუშაობა იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, რომ საფრანგეთის სხვა ადგილების მოსახლეობამაც, სადაც ცალკე მეურნესათვის საძნელო გახდა მიწის დამუშავება, მოინდომეს მიწების ამხანაგურად დამუშავება.

1917 წელს ამ ადგილებში უკვე შვიდი ამხანაგობა იყო.

ასეთ ამხანაგობაში წევრებად ერთდებიან ან ცალკე მიწის მესაკუთრეები ან ამხანაგურად იღებენ იჯარით მიწებს.

ამხანაგობას განაგებს საერთო ყრილობაზე წევრებს შორის ამორჩეული გამგეობა.

მოგების ნახევარი იყოფა წევრებს შორის მიწის რაოდენობის მიხედვით, მეორე ნახევარი კი რჩება ამხანაგობის სასარგებლოთ.

საფრანგეთის კოოპერაცია დიდ იმედებს ამყარებს ამ ამხანაგობაზე და იმედი აქვს, რომ იმათ ისიეთი ბედი არ ეწევათ, როგორც წარსულ საუკუნის დასაწყისში ძალათ დაარსებულ ამხანაგობებს, რომლებიც უნიადაგო გამოდგენ მაშინდელ ცხოვრების პირობებში.

იტალიაში. მხვნელ-მთესველთა ამხანაგობის დაარსება იტალიაში იწყება 1902 წლიდან, სწორეთ მაშინ, როცა გაფიცვებით თავმობეზრებულმა მემამულეებმა მიატოვეს მამულები დაუმუშავებლად და უმუშევრად დარჩენილი სოფლის მუშა დაეძებდა გამოსავალს თავის გაჭირვებულ მდგომარეობიდან.

ეს გამოსავალი იტალიის გლეხობამ საიჯარო ამხანაგობების დაარსებაში გამონახა, რომლებმაც ამავე დროს მწვავე უმუშევრობაც უნდა შეეშუშებიათ.

ამას გარდა ზოგ ადგილებში გლეხები ძლიერ მძიმე პირობებში იმყოფებოდენ მსხვილ მოიჯარადრეებისაგან, რომლებისაგან ისინი თავის მხრივ იჯარით იღებდენ მიწებს დასამუშავებლათ.

მხვნელ-მთესველთა ამხანაგობების დაარსებით გლეხობა ამ შუამავალისაგანაც განთავისუფლდა და პირდაპირ მემამულეებთან დაიჭირა საქმე.

იტალიაში უფრო გახშირებულია მიწის ამხანაგურად დამამუშავებელი ამხანაგობები. მაგრამ არიან ისეთი ამხანაგობებიც, რომლებიც ამხანაგურად იღებენ იჯარით მიწას, მაგრამ თვითეული წევრი ცალკე იმუშავებს მიცემულ ნაჭერს. ასეთი ამხანაგობები უფრო ნაკლებია.

მიწის ამხანაგურად დამამუშავებელ ამხანაგობების საქმეს განაგებს საბჭო, გამგეობა და სარევიზიო კომისია, რომელთაც ამხანაგობის საერთო კრება ირჩევს.

დღიურ მუშაობას განაგებს საბჭოსაგან დანიშნული გამგე, მოანგარიშე და მოლარე, გამგეს განკარგულებაშია ყველა მუშა, მას ჰყავს თანაშემწეებათ უფროსი მუშები, საწყობების და მუშა საქონლის ზედამხედველები, ამხანაგებს შორის არჩეულები.

ადამიანის ჯანმრთელობა

ივ. გომართელი

სიფილისი

— არა, მადლი არ არი მაგის სიკვდილი?—წაილაპარაკა ერთმა გლეხმა და თვალი გააყოლა ცხვირპირ ახვეულ ქალს, რომელიც კოოპერატივიდან გამოვიდა და გზას გაუდგა.

— რა ქალი იყო და რას დაემგვანა!

წარმოსთქვა მეორემ.

— რა ოჯახი დაიღუპა!—დაუმატა მესამემ.

— ხალხს კი ველარ ეკარება ეგ უბედური, სულ დარცხვენილი დადის!

— ცხვირი და ტუჩები სულ მოჭმული აქ, ვიღას უნდა მიეკაროს?

— იმ ცხონებულის ბრალი კი იყო თურმე სულ!

— ეჰ, სხვისას აბა რას გაიგებ? სხვები კი ამბობენ, ვითომ ქალმა შეჰყარაო. ზალიკაანთ თედოს სჭირებია, შაუცდენია და მერე მთელი ოჯახი გასვარაო.

— ეეჰ, ენასა ძვალი არა აქვს, თორემა, აბა მაგისთანა ამბავი რა დასაჯერებელია!

კოოპერატივთან თავმოყრილი გლეხების ლაპარაკი შეეხებოდა სოლო მაისურაძის ქვრივს—ნინოს.

მთელს სოფელში სოლო საუკეთესო გლეხი იყო. თავისი სიყოჩაღით, შრომით, უნარიანობით ოჯახი ფეხზე დააყენა და რომ იფიქრა, ეხლა კი შემიძლია ლუკმა პურის ჭამაო, გადასწყვიტა ცოლის შერთვა. ბევრი ქალი ეძლეოდა სოლოს, მაგრამ მისი გული ნინოზე შეჩერდა.

მისი სოფლის ძმა-ბიჭები ქალაქს მიდიოდენ—ზოგი სავაჭროთ, ზოგიც—გასაყიდათ. სოლოსაც ბეჭედი უნდოდა ქალის დასანიშნავად და ამხანაგებს გაჰყვა.

ივაჭრეს, ყველამ მოათავა თავთავისი საქმე.

— მაგ შენ ბეჭედსა, სოლო, დალოცვა უნდა!—მიმართა ერთმა ახალგაზდამ.

— უნდა და დავლოცოთ!—მიუგო სოლომ და ყველამ სიცილი დაიწყო.

შევიდენ სამიკიტნოში, რომ ერთი ბოთლი ღვინო დაელიათ.

მიკიტანი ენამოქნილი გამოდგა, შეაქო ახალგაზრდა გლეხები, უკურთხა მარჯვენა. ახალგაზდები წაქეზდენ, ერთ ბოთლს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მეოთხე და კარგა გვარიანად ჩათვრენ.

ბარბაც-ბარბაცით გამოვიდენ სამიკიტნოდან და გადადგეს თუარა რამოდენიმე ნაბიჯი, წინ შემოეფეთათ ორი ქალი.

— დახე, დახე, რა გოგოები არიან ე დაწყევლილები!—წარმოსთქვა ერთმა.

— ცეცხლი არიან, ცეცხლი!

— ამ ნაქეიფარზე ერთი მაგათთან... ჰა, ბიჭო სოლო, რას იტყვი?

— ეგენი საჩვენონი არ არიან, ვერა ხედავ, შლაპკები წამოუხურავთ, არც კი გვიკადრებენ!—მიუგო სოლომ.

— ფულის საქმე არ არის?—ღიმილით უპასუხა ერთმა ქალმა.

— ოო, მართალი სიტყვაა, ჩემმა მზემა, მართალი სიტყვა!

— ფულისთვინა უკან არ დავიხევთ! წარმოსთქვა ერთმა და ჩაიყო უბეში ხელი.

— ფულის ჯავრი ნუ გაქვთ, თქვენ ოღონდ ყაბულს იყავით და!

— წამოდით, წამოდით!—წარმოსთქვა ერთმა ქალმა.

— წამოსვლით კი წამოვალთ, მაგრამ თქვენ ორი ხართ, ჩვენ ოთხი,—არ გამოდის ანგარიშში,

— მაგის ჯავრი ნუ გაქვთ, ჩვენ ამხანაგები გვყავს,—მიუგო ქალმა.

— ოო, გენაცვალე ენის კლიტეშია.

— რომ არ მოგვეწონოს, მერე?

— ჯერ ნახეთ და...

გადასწყვიტეს გაჰყოლოდენ. სოლოს არ უნდოდა წასვლა, მაგრამ ამხანაგები შეუჩნდენ, აღარ მოეშვენ და ისიც ამხანაგებს აღარ ჩამორჩა.

თითქმის გაათენებული იყო, სოლო და მისი ამხანაგები რომ სოფელს მიუახლოვდენ. მთვარიანი ღამე იყო, ღვინოც გამონელდათ და კარგად იარეს.

— ჩვენი ქეიფი კარგა ბლომა ფული დაგვიჯდა—წარმოსთქვა ერთმა.

— სამაგიეროდ რა გოგოები იყვენ, რა გოგოები დაა!

— დღეისწორზედა შეშას წამოვიღებ და კიდევ უნდა ვესტუმრო მაგათა, ჩემმა მზემა.

ახალგაზდები შევიდენ სოფელში და ერთმანეთს დაშორდენ.

ერთი კვირის შემდეგ სოლო დაინიშნა და რადგანაც სახლში მარტო ხელი იყო, ჯვარის წერაც დააჩქარა, რომ ოჯახი ბარემ ოჯახს დამგვანებოდა და პატრონი და მომვლელი გასჩენოდა.

ერთი კვირაღა დარჩა ჯვარის წერამდე, როდესაც სოლომ მოულოდნელად შენიშნა, რომ ტანსა და სახეზე რაღაც დააყარა და თმა და წვერ-ულვაშმა გაცვენა დაუწყო.

სოლო შეშინდა, იფიქრა ჯვარის წერისათვის დავუშნოვდებიო და მიაშურა ექიმს.

ექიმმა დაათვალიერა, გასინჯა და უთხრა:

— შენი ავადმყოფობა სიფილისიაო.

სოლოს გულს შამოეყარა. მას გაგონილი ჰქონდა, რაც იყო სიფილისი.

— საიდან, ბატონო, ჩემსდღეში არა ვიცი რა, არავის მივკარებივარ.

— სიმართლეს არ ლაპარაკობ. მიჰკარებიხარ და შეგყრია ავადმყოფი ქალიდან.

— ერთხელ ბიჭებმა გამაბრიყვეს, მთვრალი ვიყავი ქალაქშია. მაგრამ მასაქეთ სამი თვეა, ახლა მიწია?

— სწორეთ ახლა გიწია. სიფილისმა გვიან იცის გამოჩენა.

— შენი ჭირიმე, ჩემი საქმე ცოტა სხვანაირად არი, ამ კვირის სწორსა ჯვარს ვიწერ და ისეთი წამალი უნდა მამცე, რომ მანამდი მოვრჩე, ფულზე ნუ დამზოგავ.

— ისეთი წამალი არ არის რომ ხელათ მორჩე: სიფილისს უკანასკნელი ორი-სამი წელიწადი მაინც უნდა წამლობა, მხოლოდ გამუდმებით კი არა დროგამოშვებით. ჯვარის წერაც ყოვლად შეუძლებელია ამ ვადაში. ქალი დასნეულდება, ბავშები სნეული დაიბადებიან, აბა რათ გინდა ასეთი ჯვარის წერა.

— არ მიხერხდება შენი ჭირიმე, ქალი დანიშნული მყავს, ისინიც მზათ არიან ჯვარის წერისთვინა, მეცა და აბა რას იტყვიან, ახლა რომ გადავდო? სირცხვილია, შენი ჭირიმე.

— ის უფრო სირცხვილი არ არის და თან ბოროტებაც, ქალი რომ დასნეულდება და ზედიზედ მუცელი მოსწყდება?

— გადადება არაფრით არ მოხერხდება და წამალი მასწავლე, რაც საუკეთესო იყოს.

— წამალსაც გასწავლი და გიწამლებ კიდეც, მხოლოდ იმ პირობით, როგორც მე გითხარი. ამ ერთ წელიწადში ჯვარის წერაზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

— არ შემიძლია, შენი ჭირიმე.

— შენი ნებაა, მხოლოდ მერე ინანებ, საშინლად ინანებ, მაგრამ გვიანღა იქნება. სამუდამოთ გაუბედურდები.

— რავქნა, შენი ჭირიმე, კაცი წერას ვერ გაექცევა, ჩემი წერაც ესა ჰყოფილა და რაც მომივა, მომივა.

სოლოს ასწავლეს ავლაბარში ერთი შინაური ექიმი, რომელმაც უებარი წამალი იცის სიფილისისაო, და სოლომაც მას მიაშურა.

— სიფილისი მჭირს და აბა შენ იცი, თუ მალე მამარჩენ. ისიც არ ვიცი, მართლა სიფილისია თუ არა. დოხტურმა კი ასე მითხრა და.

ექიმმა ახედ-დახედა და უთხრა:

— ნამდვილი სიფილისია, ნამდვილი, მაგრამ შენ ნუ გეშინია, კარგ ალაგას მოსულხარ. დოხტურთან იყავი?

— ვიყავი.

— მერე, რა გითხრა?

— გული გამიხეთქა: სამ წელიწადს უნდა იწამლოვო.

— მიჰქარავენ! ეგრე იციან დოხტურებმა. რა ენაღვლებათ, სამ წელიწადს

ფული უნდა აძლიო. ისინი სამ წელიწადსაც სწამლობენ, მაგრამ ბოლოს მაინც ჩემთან მოდიან. ისეთ წამალს მოგცემ, რომ შენ სატკივარს სულ ერთიანად ღრძილებიდან გამოვიყვან. მხოლოდ ოცი მანეთი ეღირება. წამალს თხუთმეტი მანეთი უნდა, ახლა სხვა დროებაა, ძალიან გაძვირდა, ინდოეთიდან მამდის, განა აქაურია? ხუთი მანეთი მე მრჩება, აჰა, ბევრია?

სოლო ცოტახანს ჩაფიქრდა, ამოიღო ოცი მანეთი და გადუთვალა ექიმს. იმანაც ჩაუყარა ქაღალდის კოლოფში ასი ცალი პატარა შავშავი აბი და დააღიგა, როგორც უნდა მიეღო.

— ეს არის და ეს. მეტი ჩემთან მოსვლა შენ არ დაგჭირდება. სამი წელიწადიო, მიჰქარავენ რაღა! იცოდე, სატკივარი ღრძილებიდან გამოვა. ღრძილები დაგისივდება, არ შეგეშინდეს.

გახარებული სოლო დაბრუნდა სახლში და დაიწყო აბების ყლაპვა. მართლაც ნელ-ნელა სახე გაეწმინდა, თმა და წვერულვაში გაუმაგრდა. ამავე დროს ღრძილები შეუსივდა და სოლო დარწმუნებული იყო, რომ განიკურნა.

სოლომ იქორწილა, ქალი მოიყვანა. სამი დღე და ღამე იმის სახლში ქეიფი იყო.

გაიარა ორმა თვემ. ნინოს ასოზე გამოაყარა, შემდეგ ყელში და სასაზე. რამოდენიმე ხანს მალა, მაგრამ როდესაც შეაწუხა, მეზობლის ცოლს განუცხადა, ასეა ჩემი საქმეო.

— წყალმა გიხამა, შვილო, წყალმა. ჩვენი წყაროა ასეთია, ფიქრი ნუ გაქვს თავისით გაივლის,—ანუგეშა ძან.

რამოდენიმე ხანს შემდეგ ნინოს ტანზე გამოაფინა და შემდეგ და შემდეგ ნელანელა გასცვინდა წამწამები, წარბები. მაშინ კი შეშინდა და ქმარს განუცხადა: ასე და ამ გვარად არის ჩემი საქმეო.

სოლოს ელდა ეცა, მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო ცოლის ავადმყოფობის მიზეზი, და თან უკვირდა, რაღათ უნდა გამოსჩენოდა, როდესაც ისეთი უებარი წამალი დავლიეო.

ზოგი რა გაყიდა სოლომ, ზოგი რა და ცოტაოდენი ფული შეაგროვა, ერთი დიდი ურემი შეშა ქალაქს წაიღო და გაყიდა თუ არა, მიაშურა ავლაბარში თავის ექიმს, აუხსნა თავისი გაჭირვება და თან დასძინა:

— იქნება მომატყუე და გამომჭერი ყელი. შენი წამალი ალბად არც ისეთი უებარია, როგორც დამპირდი.

— რას ლაპარაკობ, რასა? ხუთას თუმანს ნაღდს მაძლევენ ქალაქის ექიმები, ოღონდ შენი წამალი გვასწავლეო, მააშ! მე განა ფულის ინტერესი მაქვს, სამადლო საქმეა, სულისათვის ვზრუნავ.

— მაშ საიდან რა მოედო ჩემ ცოლსა? როგორც მე ვიყავი ავადა, სწორეთ ისე არის ისიც: გამოაყარა, თმა სცვივა.

— საიდან მოედო და ქვეშაგებიდან, მაგდენი აღარ იცოდი? ფიქრი ნუ გაქვს, ერთი წამლით იმასაც მოვარჩენ, თუ ღმერთმა ჰქნა და ღრძილებიდან გამოვიდი. მაშინ არხეინად იყავი.

სოლომ გადუთვალა ორი ჩერვონცი და წამოიღო აბები. გზაზე თავისთავს ამტყუნებდა, მართლა და ეს როგორ მომივიდა, რომ ქვეშაგები სულ ერთიანად არ დავმდუღრე და არ დავრეცხე, მაშინ ხომ ეს საქმეც არ დამემართებოდაო.

მოვიდა თუ არა სახლში, დააწყებია თავის ცოლს აბების ყლაპვა და ამავე დროს მთელი ჭურჭელი და ავეჯეულობა ცხელი წყალით დარეცხა და დააკრიალა, ქვეშსაგებსა და საბნებს ზედა პირი გადააძრო და დარეცხა, ერთის სიტყვით, აღარაფერი აღარ დაუტოვებია, რომ მდუღარე წყალი არ მოხვედროდეს. ნინოს საშინლად დაუსივდა ღრძილები და სასა. მთელი ორი კვირა საჭმელს ვერა სჭამდა, გახდა, გაყვითლდა.

სოლო გახარებული იყო, სატკივარი ღრძილებიდან გამოვიდა, ეხლა კი ფიქრი აღარ არისო.

ნინომ ნელა ნელა მოიკეთა. სახე დაეწმინდა, პირი დაუცხრა, ფერზე მოვიდა, გასუქდა და გალამაზდა.

ცხოვრება ჩადგა თავის კალაპოტში, სოლო დამშვიდდა, დაივიწყა საშინელი სენი და ორივე ცოლქმარი შეუდგენ ახალი ოჯახის ერთგულად შენებას.

— სოლო, მე ორსულად უნდა ვიყო!—განუცხადა ერთ დღეს ნინომ ქმარს.

— რა იცი, შენი ჭირიმე?—წამოიძახა სოლომ.

— ორი თვე არეს, რიგი აღარ მომსვლია და გულიც მერევა. მელანოს დავეკითხე და იმან მითხრა: ორსულათ იქნები შვილო და იმისი ბრალიაო.

სახე გაბრწყინებული სოლო გადაეხვია ცოლს და დაუწყო კოცნა.

ნინოს მუცელი უკვე გარგად დაეტყო და, როდესაც ეძრა, ქმარს ახარა, ბავშვი გასულიერებულია, ფეხებსა მცემს გულზეო.

დიდხანს არ გაგრძელებულა მათი სიხარული. ნინოს უდრო-უდროთ ასტკივდა მუცელი და რამდენიმე დღის შემდეგ მკვდარი ბავშვი ჰშობა.

შეწუხებულ სოლოს მეზობლები ანუგეშებდენ:—შვილი იმდენი მოგეცემათ რომ ვერც კი დათვალოთო.

ნინო გამორჩა, ადგა ზეზე, შეუდგა საოჯახო საქმეს.

არ გასულა სამი თვე, რომ ნინო ისევ დაორსულდა და ცოლ-ქმრის გული ისევ აევსო მხიარულობით, მაგრამ ამაოდ,—ნინოს მეექვსე თვეზე მოწყდა მუცელი.

ამის შემდეგ ექვსი მუცელი ზედიზედ მოსწყდა ნინოს: ზოგი რვათვისა, ზოგი ექვსისა, ზოგი სამისა. ერთიც ორ თვენახევრისა.

სოლო საგონებელში ჩავარდა. ვინ რას ეუბნებოდა, ვინ—რას. ზოგი ამბობდა: ხატისაგან არისო, ზოგი—ავი თვალისაგანაო. ბოლოს ჯერი მკითხავზე მიდგა. მან უმკითხავა ცოლქმარს, დაარწმუნა: ხატის ბრალიაო და დაარიგა

კიდეც, როგორ უნდა მოქცეულიყვენ, რომ ხატის რისხვა თავიდან აეცილებიათ.

ერთი კარგი ცხვარით, პურებით, ღვინით და სანთლებით გაუდგა ცოლქმარი გზას მთისაკენ, სადაც ძველისძველი წმინდა გიორგის ეკლესია იყო და იქ ესვენა განთქმული ხატი ამ წმინდანისა.

თან გაჰყვენ მეზობლები.

სამი ღამე უთია ხატს ცოლქმარმა. ნინომ თავისი სიგრძე სანთელი დაუნთო, სამჯერ მუხლის-ჩოქით შემოუარა ეკლესიას გარშემო. სხვებმა იქეიფეს, დრო გაატარეს, ცხვარი, ქათმები და ინდაურები შეჭამეს, ღვინო დალიეს და მეოთხე დღეს ყველა უკან დაბრუნდა.

ნინოს მართლაც შეეძინა გოგო. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ხატმა მიიღო წყალობა.

მაგრამ ორკვირის შემდეგ ბავშს მუწუკები დააყარა, იარები გაუჩნდა, ძუძუ აღარ ჩაიდვა პირში და მალე მოკვდა. ამის შემდეგ ორჯერ კიდევ გაუცუდდა ნინოს ზედიზედ მუცელი.

ჩავარდა საგონებელში სოლო. აღარ იცოდა, რა ეფიქრა, ვისთვის მიემართა და სასოწარკვეთილებას მიეცა. ძვლებმა ტეხა დაუწყო; ღამღამე მაინც ისე შამოაფრინდებოდა წვივებში, რომ მოსვენებას აღარ აძლევდა.

სოლოს მალე წვივები დაუსივდა და დაიარავდა. ცხვირი ჩაუვარდა, სახა გამოალპა. სახლში აღარაფერი მოეძევებოდა, რომ ექიმთან წასულიყო, სნეულებამ თანდათან დაჭრია ხელი და ლოგინად ჩავარდა.

სოფელში ხმა გავრცელდა: სოლოსა და იმის ცოლს ჭირი შედგომია და ცოცხლად ლპებიანო.

ამ ხმამ მეზობლები დააფრთხო და ავადმყოფს აღარავინ ეკარებოდა. მთელი საოჯახო საქმე ნინოს დააწვა. მალე იმანაც ქმარის მზგავსად დაიწყო ავადმყოფობა. წვივებზე იარები გაუჩნდა, ძვლებმა ტეხა დაუწყო. ცხვირი ნელნელა ჩაეზნიქა. ამან ჭორს ფრთები გამოაბა და კიდევ უფრო დააფრთხო ხალხი.

იმ ზაფხულზე სოფელში ექიმი ჩამოვიდა. ნაცნობები შეეხვეწნენ: ჩვენს სოფელში ერთი ოჯახი იღუპება, ვერავინ გაიგო, რა გაუჩნდა და ნახე როგორმეო.

ექიმმა მაშინათვე იწახულა სოლო და მისი ცოლი, დაათვალიერა, გამოჰკითხა დაწვრილებით, დიდხანს დაჰყო მათთან და აღუთქვა წამლობა.

მეზობლები მოუთმენლად ელოდენ ექიმს და, როდესაც ის გამოვიდა, გარს შემოეხვიენ.

— გაგვაგებიეთ, რა უბედურებაა.

— სიფილისია, არ გაგიგონიათ სიფილისი?

— გაგვიგონია, როგორ არ გაგვიგონია, შენი ჭირიმე.

— ჰო და, აი მაგ საწყალ სოლოს სიფილისი შეხვედრია ჯვარის წერის წინ, ექიმისთვის არ დაუჯერებია, ვიღაც ავლაბრელ მატყუარას ჩავარდნია ხე-

ლში, თავი არ მოურჩენია და ახლა თვითონაც იღუპება, ცოლიც. ცოლს რომ მუცელი უფუჭდებოდა, სულ სიფილისის ბრალია.

— რა ყოფილა ის წყეული, ისა.

— ვინცა სწამლობს თავის თავის თავს, რჩება კიდეც, ვინც მკითხავებს უჯერის—ასე ემართება.

— აღარაფერი ეშველებათ?

— სოლოს ოაღა ეშველება, მთლად დახრულია, ქალი კი გადარჩება, მხოლოდ დასახიჩრებული დარჩება: ცხვირმომპალი, სასაგამოჭმული.

— ბარემა ორივე რომ დაიხოცონ, ისა სჯობია ამისთანა სიცოცხლესა.

ექიმი დაადგა ორივეს თავზე, მაგრამ სოლოს აღარა წაადგა რა: სნეულება ტვინში აუვარდა და მოჰკლა.

ნინო კი გადარჩა, მაგრამ ვაი იმ გადარჩენას: ლამაზი ნინოს ნაცვლად დარჩა ცხვრილ ძოჭმული, სასაგამომპალი და ხმა ჩახლეჩილი ქალი, რომელიც პირახვეული დადიოდა მუდამ და ყველას თვალს არიდებდა, რადგანაც შესაბედავად ყველასათვის შესაზარი იყო.

გ. მესტიაშვილი.

პირველი დახმარება

სუნთქვის შეკვრა

ადამიანს შეიძლება სასუნთქავში მოხვდეს რისამე მარცვალი, ან საჭმლის მაგარი ნაწილი, რომ სუნთქვა შეეკრას. სუნთქვის შეკვრა შეიძლება დაემართოს ადამიანს ფილტვების სხვა და სხვა სნეულების დროსაც.

დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოთ ექიმი. ვიდრე ექიმი მოვიდოდეს, ასე უნდა მოიქცეთ: ავადმყოფს დააწვენთ თავით მაღლა. მოაშორებთ გულმკერდზე ტანსაცმელს. უნდა ეცადოთ ავადმყოფს სუფთა გრილი ჰაერი მიუვიდეს, ამისათვის მის გარშემო ბევრნი არ უნდა შეიკრიბნენ. თუ ავადმყოფი ოთახში გიწევთ, უნდა გახსნათ ფანჯარა, რომ გრილი ჰაერი შემოვიდეს. თუ ავადმყოფს ძალიან უჭირს სუნთქვა, დაადეთ ორივე იღლიის ქვეშ ხელები და დააჭირეთ ერთ და იმავე დროს ისე, რომ გულმკერდი შევიწროვდეს, შემდეგ მალე ისევ გაუშვით ხელები, რომ გულმკერდი გაფართოვდეს. ასე გაიმეორებთ წუთში 20—25-ჯერ. ამით თქვენ ძალით ასუნთქებინებთ ადამიანს ჰაერს, რომელიც მას თავისით არ შეუძლია. კარგი იქნება აგრეთვე წაუსვათ ძმარი და კარგად დაუზილოთ, ვიდრე კანი არ გაწითლდება. ხელები და ფეხები უნდა ჩაუყოთ რამდენიმე წუთით თბილ ადუღებულ წყალში და დაალევინოთ თბილი მუქი ჩაი.

გონების დაკარგვა და გულის დასუსტება სიმთვრალის დროს

თუ ადამიანმა ბევრი ღვინო ან არაყი დალია, მაშინ მისი სხეული იშხამება, ეკარგება გონება, გული მისდის, ემართება გულის რევა, პირის ღებინება, თავის ტკივილი და სხვა. ზოგჯერ შეიძლება უფრო უარეს მდგომარეობაშიც ჩავარდეს.

ამ დროს უნდა ეცადოთ, რომ ადამიანს, თუ პირის ღებინება არ აქვს, აღებინოს. ამისათვის საჭიროა დაალევინოთ ერთი ჩაის ჭიქა თბილი წყალი ან-და რძე. შეგიძლიათ აგრეთვე ღრმად ყელში ჩაუყოთ სუფთა კოვზი ან სხვა. ჩააწვინეთ ლოგინში, მხოლოდ თავი მაღლა დაუდეთ. დაალევინეთ ჩაი ან ყავა.

ჭრილობა

ყოველივე ჭრილობა სუფთად უნდა შეიხვიოს. ვიდრე შეხვევას შეუდგებოდეთ, ხელები რამდენჯერმე უნდა დაიბანოთ თბილი ადუღებული წყლით და საპნით, შემდეგ გადაივლოთ ხელებზე სპირტი ან არაყი. ამის შემდეგ შეგიძლიათ აიღოთ სუფთა მარლა, ან უბრალო ტილო, ადუღებულ ცხელ წყალში კარგად გარეცხილი და მოსწმინდოთ ჭრილობა სისხლისაგან. ამის შემდეგ ჭრილობას დაადებთ ორ-სამ კეცად იგივე ტილოს ნაჭერს, ზემოდან ბამბას და მერე შეჰკრავთ სუფთა ნაჭერით.

რამდენიმე დღის შემდეგ შეგიძლიანთ გაუხსნათ და ნახოთ ჭრილობა. თუ ჭრილობა გამთელებულა, შეხორცებულა, არ არის დაჩირქებული და არც ტკივილები აქვს ადამიანს, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ საქმე კარგათ არის. თუ ნახეთ ჩირქი, ან ჭრილობის შესიება, მაშინ ისევე დაბანილი ხელებით და სუფთა ტილოს ნაჭერით, როგორც ზემოთ გითხარით, ჩირქი უნდა მოსწმინდოთ და შემდეგ შეუხვიოთ იმავე წესით, როგორც პირველად.

გარედან სისხლის დენა

ადამიანს თუ სისხლის მსხვილი ძარღვი გადაეჭრა, მოხდება საშინელი სისხლის დენა, რომელიც თუ სწრაფად არ იქმნა შეჩერებული, შეიძლება ადამიანმა ბევრი სისხლი დაკარგოს და ბოლოს სიცოცხლესაც გამოესალმოს.

ამისათვის იმ ადგილს ზემოთ, სადაც ჭრილობაა და სისხლი სდის, გადაუჭირეთ რბილი რამე მაგრათ. შეგიძლიანთ იხმაროთ, თუ გაქვთ, რეზინი ან თასმის ქამარი. ცოტა ხნის შემდეგ სისხლის დენა შესწყდება.

ამის შემდეგ საჭიროა თვით ექიმმა ინახულოს ავადმყოფი, რომელიც საჭიროთანადო იარაღით შეჰკერავს გადაჭრილ სისხლის ძარღვს.

გველის ნაკბენი

გველის ნაკბენის ზემოთ გადუჭირეთ რამე მაგრათ, რომ შხამი შორს არ გავრცელდეს. შემდეგ ეცადეთ ნაკბენი ალაგიდან შხამი მოაშოროთ. ამ მიზნისათვის შეიძლება ნაკბენის ამოწოვა ტუჩებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ადამიანი, რომელიც ამოსწოვს, არ აქვს ტუჩებზე ან ღრძილებზე გაჭრილი ან გაფხაჭნული ადგილი. უკეთესი იქნება ნაკბენი ალაგი დასწვათ გახურებული რკინით ან იოდით. დასალევად უნდა მისცეთ ავადმყოფს ნახევარი ჭიქა ღვინო ან ერთი კოვზი არაყი.

დ ა წ ვ ა

თუ დამწვარი ალაგი ძლიერ პატარაა და დიდ ტკივილებს არ იწვევს, საკმარისია ცივი ტილოების დადება და მალმალე გამოცვლა. თუ ტკივილები ძლიერია, მაშინ მალმალე უნდა წაუსვათ გლიცერინი და სუფთად შეუხვიოთ. თუ დამწვარ ადგილას შეამჩნიეთ, რომ კანი აიბურთა და პატარა ბუშტები გაჩნდა, მაშინ უნდა აიღოთ სუფთა ბამბა, დაასველოთ არაყში და დამწვარი ალაგი კარგად გასწმინდოთ და შემდეგ შეუხვიოთ სუფთა მარლით ან ტილოთი.

თუ ადამიანს ტანსაცმელზე მოეკიდა ცეცხლი, მაშინვე უნდა დააწვინოთ და სქელი საფარი შემოახვიოთ, მაგალითად ხალიჩა, ფარდაგი, თუ ეს არ გეშოვებათ უნდა დააყაროთ მიწა, ან ნაცარი.

წყალში დახრჩობა

წყალიდან ამოყვანილი ადამიანი მაშინვე არ უნდა შეიყვანოთ თბილ ოთახში. ამან შეიძლება ცუდათ იმოქმედოს. კარგი იქნება ჯერ აივანში დააწვინოთ ტახტზე და ზემოდან საბანი გადახუროთ. ცოტა ხნის შემდეგ შეიძლება შეიყვანოთ ოთახში. ერთი სიტყვით, თანდათანობით უნდა მიაჩვიოთ სითბოს.

პირის ღრუ მაშინვე უნდა გაუხსნათ და გაუნთავისუფლოთ ქვიშისაგან, ნერწყვისაგან და მერე მისცეთ დასალევად არაყი ან ღვინო.

თუ წყლიდან ამოყვანილს უჭირს სუნთქვა, მაშინ თქვენ ძალით უნდა ასუნთქოთ ჰაერი. ამისათვის საჭიროა წაავლოთ ხელები მის ორივე ხელებს, ჯერ ასწიოთ მაღლა, შემდეგ ისევ მიუახლოვოთ გულმკერდთან. ასე გაიმეორებთ რამდენჯერმე წუთში, დაახლოვებით ოცჯერ.

მუცლის მოწყვეტა

როდესაც ორსულ ქალს უდროოდ დაეწყება მუცლის ტკივილი და საშვილოსნოდან სისხლი გამოაჩნდება, მაშინ უნდა იფიქროთ, რომ მუცლის მოწყვეტა ადვილი მოსალოდნელია.

ასეთ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ წყნარად და სრულიად უმოძრავოდ უნდა იყოს ორსული ქალი. სხვა რაიმე საშუალების ხმარება ამ დროს ზედმეტია და მავნებელიც.

თუ ამჩნევთ, რომ ტკივილები და სისხლის დენა თან და თან მატულობს და შეუძლებელია მუცლის მოწყვეტის შეჩერება, მაშინ შეგიძლიათ ყინული ან ცივი ტილოები დაადოთ მუცელზე და ამის შემდეგ ექიმსაც აჩვენოთ.

მათრობელა

პურის, ქერის და შვრიის თავთავში ზოგჯერ არის ხოლმე შხამი, რომელსაც ჩვენში მათრობელას ეძახიან. თუ ეს შხამი ბევრი არ არის თავთავში, მაშინ ფქვილი ისეთი გამოდის, რომ მხოლოდ ათრობს ადამიანს. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ბევრი იყოს ეს შხამი და ადამიანი მოწამლოს.

ამით მოწამლულ ადამიანს უჩნდება საშინელი ტკივილები მუცელში, ზოგჯერ ხელფეხის კრუნჩხვა, თითების ლპობა და მოვარდნა.

მათრობელათი მოწამლული უეჭველად უნდა აჩვენოთ ექიმს. სანამ ექიმი ნახავდეს, ავადმყოფს უნდა მისცეთ დასალევად ცოტა არაყი ან ვალერიანის წვეთები, რომ გული გაუმაგრდეს. საჭმელად მისცემთ მხოლოდ რძეს.





ხუმრუ



ღმერთმა ვედრება შეისმინა

ყველიერის მსუქან და ნოყიერ სასუსნავით მამა ონოფრემ კარგა ამოივსო ფერდები და დიდმარხვის პირველ ორშაფათიდანვე თავის მრევლის სულის საცხონებლად ლოცვას შეუდგა.

ყოველ დილა-სღამოს რეკავდა ზარი და ხალხს ცოდვებისგან გასაწმენდათ ეძახოდა.



— ოაც ჯვარი დავიწერეთ ერთხელ არა ვხიარებულვართ, ალბათ ღმერთმა შეგვიწყინა და იმიტომ ვართ უშვილოები, რა დიდი საქმეა ორიოდე დღეს ლოცვაზე ვიაროთ, იქნება შეისმინოს ჩვენი ვედრება,—უთხრა თებრომ ივანეს, ოომელიც ჯერ-კი შეყოყმანდა, მაგრამ დედაკაცის ბუზღუნს ველარ გაუძლო და ბოლოს დაოანხმდა

მთელი კვირა, ყოველ დილა-საღამოს სხვებთან ერთად დადიოდნენ ივანე და თებრო ეკლესიაში და ხორცსა და სულს ამზადებდენ წმინდა საიდუმლოების მისაღებად.

მამა ონოფრე ცალ თვალს მლოცველებს გადაავლებდა და მადა აშლილი თებროს პეწიან სახეზე შეჩერდებოდა. მას თავიდანვე მოსვერებას უკარგავდა ამ ლამაზ, უშვილო დედაკაცის დანახვა, რომელთანაც, ღმერთო შეგცოდე-კი და. ვერც ერთი გაფუებული ფოფოდია ვერ მოვიდოდა.

პარასკევს საღამოს თებრო და ივანე სააღსარებო საწირავით მივიდენ ეკლესიაში. დედაკაცები რიგ-რიგად შედიოდენ აღსარებაზე და ცოდვათაგან განწმენდილი, სახლისაკენ მიეშურებოდენ ხვალინდელ ზიარების მოლოდინში.

ბოლოს ჯერი თებრომდეც მივიდა. როდესაც მან საკურთხევლის კარი შეაღო, მამა ონოფრეს თავში ელვამ დაჰკრა და ფეხის ქუსლებამდე გაუარა.

თებრომ ტრაპეზთან დაიჩოქა და განიერი თვალები სასოებით მიაპყრო მას.

— სახელითა მამისათა, და ძისათა და წმინდისა სულისათა, ამინ... სახელითა მამისათა, და ძისათა... სახელითა...—ონოფრეს დავთრები აერია, სახეზე სისხლი მოაწვა და თვალები გადმოსაცვივნად მოემზადა...

რამდენი ხანია შორიდან უყურებდა ამ მადიან დედაკაცს და ეხლა ის აქ არის, აქვე, მის გვერდით, მის წინ არის დაჩოქილი... ვინ იცის, იქნებ ბედმა გაულიმოს?!. აბა ივანე რა კაცია, ჩანჩურაა, ხრინწიანი, კისერი თითქმის ძალათა აქვს მიმაგრებული მხრებზე, წელში საცოდავად ამოხრილა და თვალები ორმოებში ჩასძრომია... იქნებ თებროსაც თვალში მოსდის... იქნებ ბედმა გაულიმოს.

თავში ერთმანეთში ერეოდენ და უღიტინებდენ ათასნაირი ფიქრები...

— არა, მეტის ატანა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია... თუნდა ეკლესია ეხლავე თავზე დამექცეს, ღმერთი მიწაზე ჩამოვიდეს...

თებრომ ჩასუქებულ თეძოებზე ონოფრეს მაგაი ხელების შემოხვევა იგრძნო... უნდოდა წამომხტარიყო და დაეკივლა, მაგრამ მოეჩვენა თითქოს ანგელოზი ჩამოვიდა კედლიდან და პირზე ხელი დააფარა... ტანი მოუდუნდა, თვალები დაეხუჭა, სხვა ქვეყანაში გადასახლდა და იხილა ღვთის მშობელზე სულიწმინდის გადმოსვლა, როცა იესო ჩაისახა.

— სახელითა მამისათა და ძისათა...

ამ დროს ივანე საყდარში მუხმოყრილი ლოკულობდა და ვაჟიშვილს სთხოვდა მამა-ღმერთს.

თებრომ აღსარება გაათავა. ივანეც მალე მოვიდა. მეორე დღეს ონოფრემ ორივ ერთად აზიარა.

თებროს და ივანეს ნატვრა აუსრულდა, ლოცვამ გასჭრა. ერთი წელი არცკი გავიდა, მათ თმახუჭუჭა ვაჟი შეეძინათ.

ნიახური.

წარსულის მოგონება

ცელქმა ნიავმა ხის ფოთლებს
თითქოს რაღაცა ახარა
და ამ დროს ორი ყოფილი
ჯაცი ერთმანეთს შაჰყარა.
პირველი იყო დავითი—
ნაცვალი, ძველად ქებული;
მეორე მღვდელი—სარიდონ,
საყდრიდან გამოგდებული.
შეხვდენ და კმაყოფილების
სიომ ორთავეს სახესა
გადაჰკრა... ალბად იამათ,
რა ერთმანეთი ნახესა.
წარსულის მოსაგონებლად
ნაცვლის მარნისკენ გასწიეს
ქვევრსა სარქველი მოხადეს
და ცოტა იქით გასწიეს.
თითო ჯამი რომ გადაჰკრეს,
ნაცვალმა უთხრა მღვდელსაო:
—გახსოვს, სარიდონ, იგი დრო
მოვაჯდებოდი ცხენსაო,
ჩაუქროლებდი შავთვალა
პატარძლებს გულის მწველსაო.
ჰაი გიდია სოფელო,
ვინ იყო ჩვენი ფანდიო...
დაასხი, ძმაო სარიდონ,
ღვინით ჩავახრჩოთ დარდიო.
მღვდელმა მიუგო:—მეც მახსოვს,
ძმაო, აღდგომა შობაო;
ბებრის ქელეხში ქეიფი,
ყანწების გამოშრობაო.
მახსოვს ნიშნობა-ქორწილი,
ძღვენი თავი და თავიო,
ტაბლები, ღორი, ქათმები,
ნაკურთხი შილაფლავიო.
მაგრამ მეც ბედმა მიმუხთლა,
მომისპო ლუკმა პურიო...
ურწმუნოთ აღარ ინდომეს
ჩემი ხვთის სამსახურიო.
სამრეკლო ჩამომინგრიეს,
ველარსად ვხედავ ზარსაო;
ღმერთო, რატომ არ მოავლენ
ხოლერას იმათ თავსაო!...
ღმერთთან და ხალხთან პირნათლათ
ვყოფილვარ ჩემი დღენიო.
მაშ რაღად დავალ მშიერი
ვით ზურგწამხდარი ცხენიო?
იქნებ იმიტომ, რომ ერთ ქვრივს
განდობის ჟამსა, ცოდვილმა,
ბარკლებზე ხელი ავუსვი,
მეცუდ ვარსკვლავზე მობილმა?!.
მერე რა, განა ამისთვის
უნდა მაგლიჯონ წვერები,
ნუთუ მაშ უსიყვარულოდ
სძლებენ სხვა ქვეყნის ბერები?
არა, შვილოსან, აღარც ღმერთს
ჰქონია სამართალიო...
მაშ თითოც, რაკი ბედკრულებს
არა გვაქვს სხვა წამალიო.

ჯიბილა



გლეხი. მე, შენი პირიმე, ბამბაზია მინდა...

ნოქარი. არა გვაქვს.

გლეხი. მაშ ეგ რა არის, მანდ რომ დევს?

ნოქარი. ეგ გამგეობისათვის არის შენახული.

„სპიჩკა“

ჟსტავლელი კაცი ვარ, ოაცხა პრიხოდის კლასი რომ გავათავე მერე არსად ვყოფილვარ, მაგრამ აი გაზეთის კითხვა ბაღნობიდან მიყვარდა და მიყვარს, ორი ღერი რუსულიც ვიცი. ახლა მაინც ძალიანი შემიყვარდა აი „ახალი სოფელი“ რომაა, ა შენა მისი გამომცემი, ბევრი კაი სწერია შით, მარა დაწერას რა ჭკუა აქ, თუ დაწერილს არ მიაქცევენ პაწე ყურადღებას.

„პირი სოფლისაკენო, კაი ხარისხის საქონელი და დახმარება სოფელსო.„ სწერია შით. იმედი კაია, კაი დაგემართოს, მარა მარტუა იმედი არც იჭომა და არც ისომა.

ერთ კვირე დღეს პირი ვქენი იარმუკაში წასასვლელად, ჩემმა ელპიტემ მომაძახა:

— კაძახო, სახჩი ერთი ღერი სფიჩკა არაა და ამეიძღვანიეო.

რას ვიქდი, ელპიტაის ბოძანება ზაკონია ჩემდა, დედიშენის შვილი ხარ და ნუ შეასრულეფ, არ გიწერია სახჩი მისვლა.

საღამოს ერთი კოლოფი სპიჩკა ჩავაბარე ელპიტას.

— თუ ვარგა, თუ იციო,— მკითხა. მეც გამოვართვი და ჩავარუსულე კოლოფზე დაწერილი Безопасния спички.

— კი, კაია, პერვოი სორტია მეთქი. გამეიტანა ელპიტამ სანაფთე, გუუქნია სპიჩკას მარა რა გუუქნია, გასქდა სპიჩკა ვითარცა ბომბი, მოხდა ჩემს ელპიტას თვალჩი და ერთი კედარო წამწამი და წარბი ზე შეარუჯა. გაჯავრებულმა გადმომიგდო სფიჩკა და მომაწყევლა:—არ იყიდე ამის უკეთესი შენ სიცოცხლეშიო.

— დედაკაცო, შენ ვერ გოუქნიე ხეირიანათ, სფიჩკის რა ბრალია მეთქი. გამოვართვი და გუუქნიე მე, ახლა ვარესათ არ გასქდა იგი ჩემი ცოდვით სავსე. ერთი ნაფრეწაი მომხდა ულვაშში და აი ჩემი სილამაზე ნახევარი კედარო ზედ დამრუჯა.

გუუქნიე კიდომ, სანაფთიას ქე უუკიდე, მარა ერთი ნაფრეწაი ახლა ქვეშაგებელში ჩავარდა. ვეძებე მეც, ეძება ელპიტამ, მარა ვეფერი ვნახეთ და დავეთხუეთ, ვიფიქრეთ—გამქრალაო, ნაგრამ ვაი ამისანა დათხოვას. არ გასულა ნახევარი საათი იბდგვინა ცეხლმა ლოგინში.

თურმე იი ჩემი ცოდვით საფსე, ერთად-ერთი მთელი საბანი მქონდა, მოხდენოდა იმას, დამწვაიყო ნახევარზე, მოსდებოდა ლებს და ალმა რომ იგრიალა კარქათ, მაშინ შეუტყვეთ. გავაქრეთ, მარა რა გავაქრეთ,—ჩემი ერთად-ერთი საბანი და ერთი ლები კი დეიბუგა.

ზარალს კაცი კი გუუძლებდა მარა ელპიტას ვერ გუუძელი. მომდგა მარა რა მომდგა. მთელა მარა, რა მთელა, შე ლეჩო, შე თვალდაფსებულო, ამფერო, იმფერო, რაიზა არ შეხედე რომ ყიდულობდიო. რას ვიქდი, წუუყუუე, ტყუანი ვიყავი.

სხვას არას ვინატრიდი, ნეტა სფიჩკის ფაბრიკის დილექტორი ჩამაგდებია ხელში, მოგეცა ლხენა, რომ საბნისა და ლების ჯავრს მაზე ვიყრიდი, მაგრამ ვაი, რომ ვერ მივსტობი.

ხვაშტრანი.


მოწაფილე ვართ მამაო თქვენი მწუხარეგის.

მამაო ხარიტონი, მას შემდეგ რაც წვერი გაიპარსა, დაღვრემილი დადიოდა სოფლად და ნაღვლიან ფიქრებში კლავდა დროს.

მას ღამეც არ ჰქონდა მოსვენება. წარსული დროის ცხოვრება და ნეტარება სიზმარშიც კი ელანდებოდა, და სიზმრებით იტკბოდა წმინდა სულს.

ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ხარიტონმა გაიხადა ანაფორა. ერთხელ დიდი ხნის სჯა-ბაასის შემდეგ ფოფოდიამ ურჩია ხარიტონს:

—მამაო ხარიტონ, ბოშო, მონახე წყარო, სარჩო უნდა გავიჩინოთ, თორემ ასე ცხოვრება ხელს არ გვაძლევს. დაიწყე ისევ მღვდლობა.



ხარიტონს ჩაეცინა, დაცლილ ტოკივით დაკეცილ მუცელზე ხელი გადაისვა და გადასწყვიტა შემოქმედის მონასტერში სულიერი მამობის ვაწევა.

ფოფოდიამ ის შინაურულად ხელახლად აკურთხა მღვდლად, გადააცვა ყოველშემთხვევისთვის შემონახული ანაფორა და გაგზავნა შემოქმედის მონასტერში.

შემოქმედის მონასტერში „პირველ ხანებში“ კარგათ გრძნობდა თავს მამაო ხარიტონი, მაგრამ მას ესტუმრა ფოთიდან მოულოდნელი სტუმარი ბერი, რომელმაც მოინდომა მთელი მონასტრის დაუფლება.

შემოსავლის ბედი შუაზე გაიყო და ამ ორივე წმ-ნდა მ.მებს შორის ატყდა დავა საკუთრებზე.

დიდი დავიდარაბის შემდეგ გადასწყვიტეს მიცვალებულები შუაზე გაეყოთ. ასედაც მოიქცენ.

მამაო ხარიტონმა თავისი მიცვალებულები აღნიშნა გრძელი ჩხირებით. ბერმა კი თეთრი კენჭები ჩააწყო სააფლავის თავით.

საქმე გაიჩარხა. ორივე დაწყნარდა..

მაგრამ ბერის წყეულმა კუჭმა ვერ მოითმინა, როცა დაინახა, რომ მამაო ხარიტონი ყოველდღე სავსე ხურჯინებით მიეზიდებოდა შინ და ფოფოდიას კურტუმოს უსჭელებდა.

— ძნელია კუჭო, სახელი შენი, ვითარცა წმინდანს შემოსავალი არ ექნება, იყავ მონა ჩემი და შევედაოთ მამაო ხარიტონს, ვითარცა სახრავისა ჩვენისა შემცირებისაო,—უთხრა კუჭს ბერმა და კაბა გაშლილი მიუვარდა მამაო ხარიტონს.

ახალ ამოსულ წვერებში წაავლო ხელი, ანაფორა ტანზე შემოახია და შეედავა, ისე როგორც წმინდანის წესია.

— მამაო ხარიტონ, დიდება შენდა, მაგრამ ეს საკურთხები წაგიღია შენდა, ყველა შენს მკვდრებს შემოწირულებანი მოსდის, მე კი ერთიც ჯერ არ მომსვლია, ფოთიდან ჩამოვსულვარ და აქ მონასტერში შიმშილით მოვკვდე, შენ კი ღიპი დაუშვა ეს როგორ შეიძლება სულისა წმინდისა შინა?

— რის სულისა წმინდისაა, რა დროს წმინდა სულზე ლაპარაკია. ახლა შენ კიდევ გინდა მეორე ჯერ გამპარსონ თუ რას ფიქრობ, იშოვო ჰამე, არადა ამ ჩემს ფეხებს,—გაცხარდა მამაო ხარიტონი და ჟანგ მოკიდებული ჯვარი გულზე შეატრიალა.

ბერის ეს პირველი დავა იმან გამოიწვია, რომ მამაო ხარიტონს თავისთვის მიემიჯნა ყველა ახალი მკვდრები, ხოლო ბერისათვის დაეთმო ისეთი მიცვალებულები, ოომელთა არსებობა კარგა ხანია დავიწყებული ჰქონდათ თავიანთ პატრონებს.

პირველი დავა როგორც იყო ბერის დაქანცულობით დათავდა. შემდეგ კი ბერმა სხვა ოინებს მიმართა. აიღო და თავისი მიცვალებულების კენჭები დაუწყო ხარიტონის მიცვალებულებს და ჩხირები კი თავის მიცვალებულებს. მაშინ ბერის შემოსავალმაც იმატა. მამაო ხარიტონი მალე მიხვდა ბერის ეშმაკობას და ისევ ატყდა აყალ-მაყალი და წვერების წეწვა.

მამაო ხარიტონს განზრახული ჰქონდა ბერი უსათუოთ მოეკლა, რომ მონასტერი მას დარჩენოდა, მაგრამ ბედის კამათლები სხვანაირად გაუგორდა მას. სოფელმა საქმე მოაგვარა. მათ ჩამოართვა მონასტერი.

ასე რომ სულიერი მამები განთავისუფლდენ ყოველდღე ჩხუბისა და დავიდარაბისაგან. მკვდრების საქმეც გამოსწორდა.

ივანიკა



მღვდლის გმირობა

ოზურგეთისა მაზრაში
სოფელი მაიდანია,
სადაც მღვდლათ არის ნიკოლა
შანიძე დიდი ხანია.
საიქიოში რომ ვცხონდე
აწი მეც აღარ მჯერაო.
ისევ სჯობია აქ წავწყდე.



ვიწყო ქაღების ჭერაო.
რა ლამაზია პრიღასტის,
ჩემი მეზობლის ცოლიო,
ვფიცავარ ღმერთსა და რჯულსა
ცაშიც არა ჰყავს ტოლიო.
მარტოა, ქმარი შინ არ ჰყავს,
მივალ და ჩავეკვრებიო
და ისე გამოვახერხებ,
არავის გავაგებიო.
ფიქრი და წასვლა ერთი ქნა
ჩვენმა ნიკოლა მღვდელმაო,
მიუხტა სახლში პრიღასტის,
მაგრამ უმტყუნა ბნელმაო.
ვერ გაარჩია თვით ქმარი
ცოლში ნიკოლას ხელმაო
და თოკით შეჰკრა პირღასტიმ
ჩვენი შანიძე მღვდელიო.
იმდენი სცემა, საწყალსა
ჩააწყდა კუჭ-ნაღველიო.
წმინდანსა მადა წაუხდა,
საქმე გაუხდა ძნელიო
და ამ ამბავმა მოჰფინა
მაიდნის ტყე და ველიო.
მღვდელმა დაგლიჯა თოკები,
მოკურცხლა, თავს უშველაო.
მას დასაჭერათ დასდევდენ
ქალი და კაცი, ყველაო.

გლეხკორი

ვაიმე შვილო ბეგლარა

სოფელ ნიკორწმინდის სახელი, როგორც იქაური გლეხები გადმოგვცემენ, წარმომდგარა ორი სიტყვიდან: ნიკო და წმინდა.

ამ სოფელში ცხოვრობდა თურმე ვიღაც ნიკო, პატიოსანი და სოფლის მუყაითი ადამიანი.


გლეხებს ნიკო შეუყვარდათ და მას, როგორც კეთილ ადამიანს, დაარქვეს მეტ სახელად წმინდა. აქედან სოფელმაც მიიღო თურმე სახელწოდება ნიკორწმინდა.

ნიკორწმინდის ბედი დღეს უკუღმა შეტრიალდა. გლეხებს გვინდოდა შვილების სკოლაში აღზრდა. არც ჩვენ გვსურდა სხვა დაწინაურებულ სოფელს ჩამოვრჩენოდით. კარგა ხანია დავიწყეთ სკოლის შენობის აგება, მაგრამ მისი მოთავება არ იქნა და არ მოხერხდა.

გლეხებში ხმები დადის:

— ჩვენ ვიღაც ცოდვილი კაცი გვირევია, თორემ სკოლის შენობა მოთავდებოდაო.

ეჭვი აიღეს აღმასკომის თავმჯდომარე ბეგლარაზე.



— საკვირველია, როგორ შეიძლება აღმასკომის თავმჯდომარე ცოდვიანი კაცი იყოსო. რომელ კაცსაც ქალები შეიყვარებენ, ის არ შეიძლება წმინდანი არ იყოსო.—ასეთი სიტყვებით აჯავრებდა გლეხებს ბეგლარას მეგობარი კ. გურგენიძე. რომელიც დღე და ღამ კურდღელზე ნადირობდა.

ჭორები ჭორად დარჩა და შენობა მაინც ვერ მოთავდა.

ნიკორწმინდელებმა დაადასტურეს, რომ აღმასკომის თავმჯდომარეს ბეგლარას ცოდვა მიუძღვის სკოლის შენობის არ დამთავრებაში და გადაწყვიტეს ბეგლარი ზურაბივით მოაყოლონ სკოლის კედლებში.

ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ადგილობრივ გლეხებში. ბევრი წინააღმდეგია ბეგლარის სკოლის კედლებში მოყოლების და ამბობენ:

— მოდი ვცადოთ, ბეგლარი ჯერ მოვიშოროთ თავიდან, იქნებ ცოდვა თან წაიღოსო. და თუ სკოლის შენობა მაინც არ მოთავდა, მაშინ უსათუოდ ჩავაყოლოთ სკოლის კედლებშიო.

მოსალოდნელია ბეგლარას დედამ მალე შესძახოს თავის შვილს სკოლის კედლებში:

— ვაიმე, შვილო ბეგლარა..

ვარდო.

ზუგდიდიდან

სოფელ ზუბში ავაშენეთ
სკოლის ერთი ბინა
და ჩვენს სოფელს სწავლის შუქი
უკვე მოეფინა.
სკოლა არც კი გახსნილიყო
როცა იმის დაბლა.
პურმარილი გაჩნდა კიდეც
და იკურთხა ტაბლა.
მითხარ კაცის მოხერხება.
სადამდე არ წავა.
ახ და რას არ მოიფიქრებს
მიხა ლემონჯავა.
სამიკიტნო გამოაწყო
ლამაზი და სუფთა
და იმავე შენობაში
ტკბილად წამოსკუპდა.
ბაბალუა კლასში ისე
გაკვეთილს ვერ მართავს,
თუ ხაზეინს არ ჰკითხავს და
ის ნებას არ დართავს.
და როდესაც ბავშებს გულით
უხსნის „ანა-ბანას“,
იქვე ისმის „დელი-დელა“,
როგორც დედის ნანა.
მაღლა მშიერ მასწავლებელს
ლამის სული სძვრება,
დაბლა მიხა ქეიფობს და
ყურძნის წვენით თვრება.
მას აბა რა ენაღვლება



კრებაზე

—როგორ ენა-წყლიანათ ლაპარაკობს ეს მამა-ცხონებული. ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი რამ არ ვაოგა: ტყუის.

„ატვეჩაეტ“ დახლი.
ასეთია სოფელ ზუბში
განათლების სახლი.
მაღლა სკოლა, დაბლა დახლი
და ქეიფი კოხტა,
განათლების ინსპიქციავ
ასე როგორ მოხდა?

კიტრი.


ხელისუფლება



წინეთ



ეხლა



საფლავის კურთხევა

ჭირისუფალი მარინე. ღმერთო შენ გამინათლე ჩემი ივანეს სული...
მოძღვარი. ღმერთმა მიაგებოს საიქიოს.
დიაკვანი. ამინ!



კოოპერატივის კრებაზე

— ხალხო, ივანე იყო კოოპერატივში—ქალი გაათხოვა, პეტრე დანიშნეს—ხარები იყიდა, ერთხელ მეც მაღირსეთ, თორემ ლამის არის ქოხი თავზე ჩამომექცეს.




მახეში გაება


ტყის ჭურდი. რა ნება გაქვს, რომ შენ ამ დროს აქ დაეხრევი?!
ტყის მცველი. მაპატივე, შენი პირიმე, შემთხვევით წაგაწყდი.

გლეხები საბჭოს ირჩევენ

ვაჭარი, თავადი და მღვდელი კი გარედან უყურებენ.



თავადი.—ოხ, დროებას რა ვუთხრა...



ხუმარას ფოსტა

ჩოხატ ური, კვაჭის.—ლუკაია მიკიტანს საბჭოში გასვლა უნდოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ამის გამო ძლიერ დაღონებული და გულმოსულიაო,—თუ გულმოსულია სუფსის ცივი წყალი დალიოს.

მელაკუდას. თქვენი წერილი სანაგვე ყუთს გაჰყვა.

სურები, ოტიას. გვწერთ:—ჩვენი გლეხკომი ქვრივ-ობლებისა და საწყლების დახმარების ნაცვლად თვითონ გახდა ობოლი და საწყალიო.—თუ მასეა თვითონ მას დაეხმარეთ და წევრები გამოცვალეთ.

მეზობელს. სწერთ:—ჩვენი კოოპერატივის ნოქარი მხეცია,—ახლოს არ გვიკარებს გლეხებს, მან ფულიც შეგვიჭამაო.—თუ მხეცია დროზე დააბიო, თორემ სამიშია თქვენც არ შეგჭამოთ.

კუდაბზიკას. გვწერთ:—სოფელ გორაში გარდაიცვალა მღვდელ ეფანე ვირიო და სოფელი უვიროთ დარჩაო.—წერილში ვერ გავიგეთ ეფანეზე ლაპარაკობთ თუ ეფანეს ვირზე. თუ მღვდელ ეფანეს ვირი გარდაიცვალა, აქ სამწუხარო სოფლისთვის არაფერია, რადგან ერთი ვირი კიდევ დარჩენილა თქვენს სოფელში.

ოფეთელ გლეხს.—ამხანაგო რედაქტორო, მე ერთი წელიწადია შინ არ ვყოფილვარ და ჩემმა ცოლმა ერთი კვირის ვაჟი დამახვედრაო.—მარჯვე ცოლი გყოლია და რა გაქვს სადარდებელი. ვაჟები წელს იშვიათად იბადებიან.

კახელ ვერაჯანს. თქვენი ლექსი ასე იწყება:

კოოპერატივის გამგემო
ჩუმად წერილი მომწერა,
მოდი საკაბე გაგემო,
სხვამ არ გაიგოს კი ვერა...

კოოპერატივის ნოქარს ჩუმად მოუწერია თქვენთვის გადამალულ საკაბეზე და ეს საქმე სჯობია ისევ ჩუმათ დარჩეს თქვენ შორის.

ახალსოფელში, ნათავადარს. წერილში სწერთ:—მოქალაქე ამხანაგო ალმასკომის თავმჯდომარე! მადლობელი ვარ, რომ ჩემ პურ-მარილს—შემწვარ დედლებს და წითელ ღვინოს წიხლი არ ჰკარით. თქვენისთანა მსმელი რომ ბევრი გვყავდეს, მაშინ ბედნიერი ვიქნებოდით. ჩამორთმეული მიწა უკვე დავიბრუნე თქვენი განკარგულებით. შეპიოებულ ფულს მალე გაახლებთ. მადლობელი ვარ. გიგზავნი შემწვარ გოჭს და იმედია იკადრებთ.

ალბად ფოსტალიონს შეშლია მისამართი. თქვენ სწერთ ალმასკომის თავმჯდომარეს, წერილი კი რედაქციამ მიიღო, შეგიძლიათ მოიკითხოთ.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი: გაზეთ „ახალი სოფლის“ რედაქცია.

ნუღარ ამვიანებთ

გლეხებო!

გაზეთ

„ახალ სოფელზე“

ხელისმოწერას 1926 წლისათვის

არ დაივიწყოთ რომ:

„ახალი სოფელი“ თქვენი საუკეთესო მეგობარია და მრჩეველი ყოველ საქმეში. „ახალი სოფელი“ გაგაგებინებთ ყველაფერს, რაც თქვენთვის საჭიროა, მოგცემთ საჭირო რჩევა-დარიგებას და ცნობას. „ახალი სოფელი“ გიჩვენებთ გზასა და გასწავლით საუკეთესო საშუალებას მეურნეობის გაუმჯობესების და დაწინაურების შესახებ.

გაზეთის გამოსაწერათ მიმართეთ თქვენი სოფლის სამკითხველოს გამგეს, კოოპერატივის მდივანს, მასწავლებელს, ან უშუალოდ რედაქციას შემდეგი მისამართით:

ტფილისი, ვოლოდარსკის ქ. № 11.

„ახალი სოფელი“-ს რედაქცია.

გაზეთი წელიწადში ღირს მხოლოდ

ერთი მანეთი

ექვსი თვით სამი აბაზი ▣ სამი თვით ოცი აბაზი

გაზეთის გამოწერას

ნუღარ ამვიანებთ

ა984 ბ
1926

ფასი 20 კაპ.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 1256 მთავლიტი 487. ტირაჟი 30.000.